1933

# დროშა



„არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენს მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ გოჯას დავუთმობთ არავის“!

სტალინი

## შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობამ უნდა მოგვცეს 500.000 ფუთი ხორბალი.





შირაქის საბჭოთა მეურნეობამ წრეულს უნდა მოგვცეს 500.000 ფ. ხორბალი. მოსავლის აღება უკვე დაიწყო.

## მაგნიტოგორსკის კოქსის კომბინატი



კოქსის კომბინატის საერთო სურათი და ბრძმედი № 4.



სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ნატახტარის წყალსადენის ქსელის გაყვანა.





სურათზე: მარცხნივ — კოლმეურნეობა „ინტერნაციონალი“ (გორის რაიონი) ბოლშევიკურად ჩაება ახალი მოსავლის აღებაში. კოლმეურნეები დაყოფილი არიან ბრიგადებათ და ჯგუფებათ, რომლებიც ჩაბმული არიან სოცშეჯიბრებაში. № 2 ბრიგადის დამკვრელი სუპიშვილი ვასო ხორბლის გალეწვაზე. მარჯვნივ — სამკალი მანქანების კოლონის მუშაობა ყარაიას მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-8 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 8.

№ 14 ტფილისი, 1 აგვისტო

გაზ. „კომუნისტი“-ს გამ-ბა 1933

# მსოფლიო ომიდან მსოფლიო ომისაკენ

„უნდა აუხსნათ ხალხს რეალური ვითარება იმის, თუ რამდენად დიდია საიდუმლოება, რომელშიც იბადება ომი და როგორ უძლურია მუშათა ჩვეულებრივი ორგანიზაცია, თუნდაც ისეთი, რომელიც თავის თავს რევოლუციონურს უწოდებს, ნამდვილად მოახლოებული ომის წინაშე“.

ლენინი

წლინახევრის წინ, 1932 წლის თებერვალში, 8 წლის მოსამზადებელი „მუშაობის“ შემდეგ დიდის ზეიმით გაიხსნა პირველი მსოფლიო „განიარაღების“ კონფერენცია. 60 ქვეყნის ათასამდე დელეგატი და ექსპერტი, მთელი მსოფლიოს პრესის წარმომადგენლები, ათასგვარი ორგანიზაციების დელეგატები და სხვადასხვა თაყვანისმცემლები თავმოყრილ იქნა თვალთმაქცობის ამ პარადზე. საერთაშორისო იმპერიალიზმის ოქროპირები ღრიანცელით ღაღადებდნენ თავიანთ „მშვიდობიანობის მოყვარეობაში“. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ დელეგაციების მეთაურები და წევრები, რომლებიც თავიანთი მთავრობების სახელით არწმუნებდნენ კაცობრიობას ზავის იდეებისადმი ერთგულებაში, არწმუნებდნენ იმაში, რომ სწორედ ის მთავრობა, რომელსაც მორიგი ორატორი წარმოადგენდა, მზად არის ხვალვე ხმლები ნამგლებათ გადასჭედოს. სოციალ-ფაშისტური პრესა გულის ამაჩუყებელი ერთსულოვნებით ცდილობდა იმპერიალისტური მგლები მშვიდობიანობის ანგელოზებათ გამოესახა, კონფერენციის თვალთმაქცური, თეატრალური დასაწყისი კი, როგორც პირველი სერიოზული მიდგომა განიარაღების პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტისადმი.

მაგრამ აი, გათავდა კონფერენციის საზეიმო ნაწილი, დაიწყო ყოველდღიური „მუშაობა“ და იმ წამსვე ბრმათათვისაც კი ნათელი შეიქნა „განიარაღების“ კონფერენციის ნამდვილი ფასი. შემდეგად დისკუსიისა, როგორც კონფერენციის პლენარულ სხდომებზე, ისე კონფერენციის მრავალათეულ კომისიებსა და ქვეკომისიებში, ერთხელ კიდევ ნათელი შეიქნა, რომ თითეული კაპიტალისტური ქვეყანა მზად არის შეამციროს ის საომარი საშუალებები, რომლებიც მას ნაკლებად მოეპოვება და ან მისთვის ნაკლებად არის საჭირო. ასე, მაგალითად, ინგლისი მზად არის გააუქმოს ისეთი კლასის სამხედრო გემები, რომლებიც მისთვის არც ისე საჭირო და რომლებიც მას მცირე რაოდენობით მოეპოვება, მაგრამ, რომლებიც სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენენ იმპერიალისტური ამერიკისათვის. ამერიკაც, პირიქით, ასეთივე თვალსაზრისით უდგება თავისი სამხედრო ძალების შემცირების საკითხს. ასეთსავე თვალსაზრისს ადგანან დანარჩენი დიდი და პატარა სახელმწიფოები და ამის შედეგად დღეს, უფრო ფართოდ და ძლიერ, ვიდრე ოდესმე, გრძელდება შეჯიბრება შეიარაღებაში.

იმპერიალისტებს არ შეუძლიათ განიარაღება. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ისინი არ იქნებოდნენ იმპერიალისტები. კაპიტალის ყარაულებს მხოლოდ თოფ-ზარბაზნებით, ტანკებით და დრედნოუტებით, წყალქვეშა ნავებით და სამხედრო აეროპლანებით შეუძლიათ ნაყაჩაღარის დაცვა და შენარჩუნება, ახალი გემრიელი ლუკმის ჩაგდება ხელში — ახალი ბაზრების და ნედლეულის ახალი წყაროების სახით. კაპიტალისტური სახელმწიფოების შორის წინააღმდეგობანი აიძულებენ მათ ფხიზლად ადევნონ თვალყური ერთმანეთის სამხედრო შეიარაღებას. ამიტომ არის, რომ ერთი სამხედრო გემის წყალში ჩაშვებაზე რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ, მეორე — მისი მეტოქე — უპასუხებს ორის ჩაშვებით, ყოველი სამხედრო აეროპლანის გამოშვებაზე — ორი ათეულის და ასე დაუსრულებლად გრძელდება შეიარაღების ჭიდილი.

ეკონომიური კრიზისი, რომელიც მეოთხე წელია მძვინვარებს შეუსუსტებელი ძალით რომელიც შეუჩერებლად ფართოვდება და ღრმავდება, კიდევ უფრო აძლიერებს იმპერიალისტურ წინააღმდეგობებს, უკიდურესად მწვავე ხასიათს აძლევს მათ, ხელს უწყობს შეჯიბრების გაძლიერებას შეიარაღებაში. ამიტომ არის, რომ დღე-დაღამ მუშაობენ სამხედრო ქარხნები, ამზადებენ ახალ კაცთმკვლელ საშუალებებს.

უკანასკნელმა ეკონომიურმა კონფერენციამ, რომელიც არა ნაკლები ზეიმით გაიხსნა, ვიდრე განიარაღების კონფერენცია ამ წლინახევრის წინ, რომელსაც ასეთივე ლოცვა-კურთხევით შეხვდა მთელი მსოფლიო სოციალ-ფაშისტური პრესა, როგორც „განიარაღების“ კონფერენციას 1932 წლის თებერვალში, გამომჟღავნდა იგივე განწყობილებები და ტენდენციები, რომლებიც მჟღავნდება კაპიტალისტების ყოველ კონფერენციაზე: ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფო მზად არის გაიღოს მსხვერპლი... მხოლოდ სხვის ხარჯზე. ამ სამარცხვინოდ დამთავრებულმა მორიგმა მსოფლიო კონფერენციამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია მშვიდობიანი გზებით გადასჭრას და დასძლიოს თავისი შინაგანი წინააღმდეგობანი. უფრო მეტი, ამ კონფერენციამ კიდევ უფრო გაამწვავა და გააღრმავა ეს წინააღმდეგობანი, ის გადაიქცა ახალ მიჯნად შეიარაღების შემდგომ ზრდაში. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ კონფერენციის კრახის უკანასკნელ დღეებში ამერიკის, იაპონიის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვ. დიდ და პატარა იმპერიალისტების პრესამ არაჩვეულებრივად გააძლიერა მილიტარისტული პროპაგანდა, ამ ქვეყნების პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწენი გამოდიოდნენ არაორაზროვანი განცხადებებით თავიანთი ქვეყნის შემდგომი შეიარაღების აუცილებლობის მოთხოვნით და ზოგიერთმა მთავრობებმა (ამერიკა, იაპონია და სხვ.) კონფერენციის კრახზე უპასუხეს ახალი სამხედრო გემების მიღებით და ახალი მილიარდების გადადებით სამხედრო მშენებლობისათვის.

ერთად-ერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც განზე დგას შეჯიბრებიდან შეიარაღების დარგში, რომელსაც არა თუ არ შეეხებია მსოფლიო განმანადგურებელი ეკონომიური კრიზისი, არამედ შეუჩერებლად ანვითარებს თავის საწარმოო ძალებს, ქმნის ახალ — სოციალისტურ საზოგადოებას, — ეს არის საბჭოთა კავშირი. ამიტომ არის, მსოფლიო ყველა კონფერენციებზე და თათბირებზე მხოლოდ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები გამოდიან საკითხების გადაწყვეტის ნამდვილად რეალური გეგმით. მხოლოდ საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში და კონფერენციაზე განიარაღების და სამხედრო ტექნიკის შემცირების ნამდვილად პრაქტიკული გეგმები. მხოლოდ საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა მსოფლიო ეკონომიურ კონფერენციაზე წინადადება, რომელთაც მათი მიღების შემთხვევაში შეეძლოთ მსოფლიო დაჭიმული მდგომარეობის შემსუბუქება.

საბჭოთა კავშირმა არა ერთხელ საქმით დაამტკიცა თავისი მშვიდობიანობის მოყვარეობა და უკანასკნელადაც, როცა ლონდონის ეკონომიურ კონფერენციაზე სხვადასხვა ქვეყნების დელეგატები კულისებში მხოლოდ იმის მზადებაში იყვნენ, თუ როგორ უკეთ ჩაეცათ ლახვარი ზურგიდან ერთმანეთისათვის, საბჭოთა დელეგაციამ მთელ რიგ სახელმწიფოებთან დასდვა კონვენცია, რომელიც წარმოადგენს მშვიდობიანობის ახალ დოკუმენტს და საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის მორიგ დამამტკიცებელ საბუთს.

ასეთია საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, პოლიტიკა მშვიდობიანობისა და მეზობლური თანაცხოვრებისა ყველა ხალხებთან. ამ პოლიტიკის წარმოება შეუძლია მხოლოდ გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანას, სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას, რომელიც კომუნისტური პარტიის და მსოფლიო მუშათა კლასის უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით შეუჩერებლათ მიდის წინ ერთი გამარჯვებიდან მეორისაკენ.

კაპიტალისტების არსენალში კი კრიზისის დასაძლევად არსებობს მხოლოდ ორი საშუალება—ომი და ინტერვენცია, ერთმანეთის წინააღმდეგ ომის მზადებასთან ერთად, იმ-



სამზადისი საერთაშორისო იმპერიალის ტური ომისათვის.
სურათზე: — ჩ. ა. შ. შტატების კრეი სერი „არიზონა“ წყნარ ოკეანეში ჩატარებული მანევრების შემდეგ სან-პედროზე გავლით ბრუდნდება სან-ფრანცისკოში.

პერიალისტური წრეების ავანტიურისტული ნაწილი აშკარად ლაპარაკობს საბჭოთა კავშირთან ომზე, როგორიც კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ შესაძლებლობაზე. იაპონიის იმპერიალიზმის აქტივობამ შორეულ აღმოსავლეთში და ნაციონალ-სოციალისტების მოქმედებამ გერმანიის სახელმწიფოს სათავეში ფრთები შეასხა ამ წრეებს. ამის შედეგად გაძლიერდა პრესის და ცილისწამების კამპანია კაპიტალისტური პრესის ერთ ნაწილში. არსენალიდან გამოაძვრინეს ანტისაბჭოთა ლაშქრობათა ძველი გეგმები. ასე პარალელურად მიმდინარეობს მზადება ახალი იმპერიალისტური ომისა და ანტისაბჭოთა ინტერვენციისათვის. და თუ იმპერიალისტებს ჯერ არ დაუწყიათ მსოფლიო შეტაკება,—ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მათ ჯერ კიდევ არა აქვთ დამთავრებული მთელი საომარი სამზადისი, თუ იმპერიალიზმის ავანტიურისტულმა წრეებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს თავიანთი მთავრობების ჩათრევა ანტი-საბჭოთა ომში, ეს აიხსნება საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ზრდით, შიშით საკუთარი ქვეყნების პროლეტარიატის და მშრომელი მასების წინააღმდეგობის წინაშე.

მაგრამ, რასაკვირველია, ეს ვერ შეაჩერებს იმპერიალისტებს, როცა ისინი ხელსაყრელად დაინახავენ მომენტს ახალი ომის დასაწყებად, რომელსაც ისინი გამალებით ამზადებენ, ვინაიდან ომი მათთვის არის არა მარტო ახალი კოლონიების—ნედლეულის წყაროების და ბაზრების მოპოვების საშუალება, არა მარტო თავისთავად მომგებიანი საქმე, არამედ აგრეთვე მძლავრი საშუალებაც მუშათა კლასის დასათრგუნავად საალყო წესების და ომის თანმდევი ექსტრაკული რეპრესიების საშუალებით.

ამ გააფთრებულ საომარ სამზადისში ბურჟუაზიას ყოველმხრივ ეხმარებიან სოციალ-ფაშისტები, ფრანგი, ინგლისელი, ბელგიელი და სხვა სოციალისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თავიანთი ქვეყნების შეიარაღების ზრდაში, ისინი აქტიურად ეხმარებიან იმპერიალისტებს ანტი-საბჭოთა ინტერვენციის მზადებაში თავისებური საძაგელი ჭორების გავრცელებით სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის შესახებ.

საერთაშორისო პროლეტარიატი კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტების საომარ სამზადისს.

პირველ აგვისტოს—საერთაშორისო ანტი-იმპერიალისტურ დღეს ის გამოვა ქუჩებში—იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის და საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგით.

ლოზუნგით:

— ძირს იმპერიალისტური ომი!
— ძირს ფაშიზმი და სოციალ-ფაშიზმი!
— ძირს კაპიტალიზმი!
— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!
— გაუმარჯოს სოციალიზმს!

და

მებრძოლ რევოლუციონურ სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის გმირულ პროლეტარიატს, რომელიც ძლევამოსილად აშენებს სოციალიზმს.

სალამს უძღვნის გერმანელ მოძმეებს, რომლებიც ფაშისტური ბანდების ულმობელს ტერორის პირობებში გმირულად იბრძვიან საბჭოთა გერმანიისათვის.



მსოფლიოში უდიდესი სამხედრო ჰიდროპლანი, რომელიც ეკუთვნის ინგლისს, მთლიანად ლითონიდანაა დამზადებული. მასზე დადგმულია ექვსი 930 ძალიანი მოტორი. შეუძლია 18 ტონა მასალის წაღება.

# მოღალატეობის დოკუმენტები

## რას ამბობდენ სოციალისტები

### გერმანიაში

#### ომის დაწყებამდე

„გერმანიის ჯარისკაცის წვეთი სისხლიც კი არ უნდა შეეწიროს მსხვერპლად ავსტრიის ბატონ-პატრონთა დიდმპყრობელურ თავმოყვარეობას და იმპერიალისტების მოგებათა ინტერესებს...

გაბატონებულმა კლასებმა, რომლებსაც მშვიდობიან დროში სძაგხართ თქვენ, რომლებიც გჩაგრავენ და გყვლეფავენ თქვენ, ვერ უნდა გაბედონ თავიანთი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და თქვენი გადაქცევა საზარბაზნე ხორცად. მოძალადეების ყურში ყველგან უნდა გაისმოდეს: „ჩვენ არ გვსურს ომი! ძირს ომი! გაუმარჯოს ხალხთა საერთაშორისო ძმობას".

გერმანიის ს.-დ. პარტიის ცენ. კომ. მანიფესტი, ბერლინი 1915 წ. 25 ივლისი.

„სოციალისტური პროლეტარიატი იხსნის თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ მოვლენებისათვის, რომელთაც გამოიწვევს სიგიჟით დაბრმავებული გაბატონებული კლასი. პროლეტარიატმა იცის, რომ სწორედ მისთვის აიზიდება ნანგრევებიდან ახალი ცხოვრება. მთელი პასუხისმგებლობა ეცისრება დღევანდელ ბატონებს.

მათთვის საქმე შეეხება ყოფნა-არყოფნის საკითხს.

მსოფლიო ისტორია—საშინელი სასჯელია".

„ფორვერტს"

1914 წ. 30 ივლისი.

—„მრისხანე პოლიტიკური კრიზისი იმდენად გამწვავდა, რომ უახლოეს საათებს შეუძლიათ მოგვიტანონ ჩვენ ომი, ომი, რომელიც ჯერ არ ახსოვს ისტორიას გიგანტური შეტაკების დროსაც კი. ომი, რომელიც მთელს ევროპას გადააქცევს ერთ მთლიან ბრძოლის ველად, გიგანტური ლაზარეთად, ომი, რომელიც მილიონებისათვის ნიშნავს სიკვდილს და დასახიჩრებას, ასეულ ათას მუშებისათვის კი—უმუშევრობას, სიმშილს, ავადმყოფობას და სიღატაკეს. ჩვენ არ გვინდა დავუჯეროთ ამას, ჩვენ უსასტიკეს პროტესტს ვაცხადებთ ამგვარი უმაგალითო უპასუხისმგებლობის პოლიტიკის წინააღმდეგ. როგორც ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის პარტია ჩვენ მოწოდებითა და გაფრთხილებით მოვმართავთ ყველა სახელმწიფოთა პასუხისმგებელ მოღვაწეებს... ჩვენ დაბეჯითებით ვაფრთხილებთ აგრეთვე გერმანიის მთავრობას სიმ-ების გადამეტებულ დაქიმვისაგან. გერმანიის ხალხს (ეს დაამტკიცა გერმანიის პროლეტარიატის დემონსტრაციამ) სურს მშვიდობიანობა, მოლაპარაკება, კონფლიქტის მოგვარება".

„ლე რეპორტა", 1914 წ. 31 ივლისი.

**კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ქიმიური ქარხნების საერთაშორისო პროდუქცია.**




თითოეული ბალონი = 250.000 ტონას.

## ომის დაწყების შემდეგ

„თუ გაიმარჯვა რუსეთის დესპოტიზმმა, რომელსაც თავისი ხალხის საუკეთესო შვილთა სისხლით აქვს შეღებილი ხელები, ჩვენი ხალხისა და მისი თავისუფალი მომავლისათვის საფრთხეში ვარდება ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, საჭიროა ამ საფრთხის თავიდან აცილება და ჩვენი საკუთარი ქვეყნის კულტურისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ მოვიქცევით ჩვენ ისე, როგორც ყოველთვის ვლაპარაკობდით: საფრთხის მომენტში ჩვენ არ დავტოვებთ სამშობლოს ბედის ანაბარა...

...გამოვდივართ რა ამ პრინციპებიდან, ჩვენ ხმას ვაძლევთ სამხედრო კრედიტებს".

რეიხსტაგის ს.-დ. ფრაქციის დეკლარაციიდან სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემის გამო—1914 წ. 4 აგვისტო.

„ახლა არ არის დრო განვიხილოთ და ვარკვიოთ, თუ რაში მდგომარეობს საშინელი კატასტროფის შინაგანი მიზეზი. ჩვენ ვდგევართ, ფაქტის წინაშე. ახლა საკოთხს სწყვეტს რკინა! ახლა საკითხს სწყვეტს ძალა! გერმანელმა ხალხმა უნდა დაიცვას თავი! თავდაცვას შევსწიროთ ყველა ძალები!"

„ჰამბურგერ ეხო".
1914 წ. 4 აგვისტო.

„სულ ერთია როგორ წარმოიშვა ომი... რაკი ომი დაიწყო, ის უნდა გადაიტანონ იმათაც, ვინც თავისი საერთო და მთლიანი სიფრთხილის გამო ილაშქრებს მის წინააღმდეგ. ვინაიდან ჩვენ არ ვიმყოფებით განზე სახელმწიფოსაგან, ან მის გარეშე".

„ფორვერტს" 1914 წ. 18 აგვისტო.

„საზღვარ-გარეთ ცდილობენ გერმანია გამოიყვანონ ომის მოტრფიალე ქვეყნად იმ დროს, როცა ბიულოვმა უიმედოთ გაუშვა ხელიდან ყველა შესაფერი შემთხვევები ხელსაყრელი და გადამწყვეტი სამხედრო შედეგების მიღებისა, მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენ გვქონდა ინგლისთან კავშირის შესაძლებლობა; მან უარყო იგი, 1905 წელს მას ჰქონდა ყველა შესაძლებლობები საფრანგეთთან ომის ხელსაყრელად დამთავრებისათვის, რომ საფრანგეთის ხალხისათვის ერთხელ და სამუდამოთ აეღებინებია ხელი დელკასეიზმზე და სათავეშივე ჩაეკლა ანტიგერმანული კოალიცია. რუსეთი იყო დამარცხებული, იაპონიასთან ომმა და შინაურმა რევოლუციონერმა ამბებმა სრულიად დამბლა დასცა მას. ინგლისი მოუმზადებელი იყო ომისათვის, მაგრამ ბიულოვი პაციფისტი იყო თავისი სრული უუნარობის გამო".

ს.-დ. „ინტერნაციონალური კორესპონდენცია", 1117 წ. 13 ივლისი.

## საფრანგეთში

### ომის დაწყებამდე

„ძალადობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ტლანქი მეთოდების წინააღმდეგ, რომელთაც ყოველ წუთს შეუძლიათ თავს დაატეხონ ევროპას უსაშინელესი კატასტროფა, იბრძვიან და პროტესტს აცხადებენ ყველა ქვეყნების პროლეტარიები. ისინი აცხადებენ, რომ მათ სძაგთ ომი და სურთ მისი თავიდან აცილება. ჩვენ მთელის ჩვენი ენერგიით ვიბრძვით საშინელი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მსოფლიოს, ამგვარი ბოროტმოქმედების შესაძლებლობაც კი სამარცხვინო და დანაშაულია ყოველი რეჟიმისათვის. ძირს ომი, გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს".

სოც. პარტიის ლიდერების მოწოდებიდან. 1914 წ. 28 ივლისი.

„ვინ ბედავს ისურვოს ომის წარმოშობა? რომელი მხეცი მიიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას და გახსნის შლიუზებს სისხლის მდინარეებისათვის? მარტო ფიქრი იმაზე, რომ რომელიმე ადამიანის გული შეიძლება ფარავდეს ომის სურვილს, ჩვენში იწვევს საშინელებას და სირცხვილს. თუ თქვენ არა ხართ არამზადები და შეშლილები, თუ თქვენ არ გსურთ იხილოთ, თუ როგორი იქნება თქვენი სამშობლო სულ რამდენიმე საათის განმავლობაში ჩათრეული უსაძაგლეს ავანტიურაში, როგორიც კი შეიძლება წარმოიდგინოთ, საჭიროა, რომ მთელი ხალხი პარიზში დაუყოვნებლივ აღსდგეს. ეს გადაუდებელი საჭიროებაა".

„ბატაილ სინდიკალისტ", 1914 წ. 27 ივლისი.

### ომის დაწყების შემდეგ

„პარლამენტმა ხვალ, ან ზეგ უნდა სთქვას თავისი გადაწყვეტილება ხმის მიცემით კრედიტებისთვის, რომელთაც მისგან მოითხოვს მთავრობა. ეს კრედიტები ერთხმად იქნება მიცემული"... გერმანიამ მთელი ევროპა აამხედრა თავის წინააღმდეგ. დაუცადოთ თუ რა განაჩენს გამოიტანს იარაღი და ვისურვოთ, რომ ეს განაჩენი ჩვენთვის ხელსაყრელი იყოს".

რენოდელის წერილიდან, 1914 წ. 4 აგვისტო.

„ჩვენ გვსურს დავიცვათ საფრანგეთის კულტურა".

სემბას განცხადებიდან.

„თავდასხმის შემთხვევაში სოციალისტები შეასრულებენ თავის მოვალეობას, სამშობლოს, რესპუბლიკის და რევოლუციის წინაშე"

ვაიანის განცხადებიდან.

„წინ, გენერლებო, ჩვენ მოგცემთ თქვენ ხალხს, თქვენ მოგვეცით გამარჯვებები"!

კომპერ მორელის წერილიდან, 1914 წ. 2 აგვისტო.

„საჭიროა სისწრაფე და ფართო გაქანება, სისწრაფე, რომ სამშობლო გამოვაცხადოთ საფრთხეში მყოფად; ფართო გაქანება იმისათვის, რომ ზარით მოუწოდოთ უკანასკნელ საყოველთაო მობილიზაციაზე საფრანგეთის ყველა ძალებს".

კომპერ მორელის წერილიდან. 1914 წ. 26 აგვისტო.

„მე სიხარულით გამოვდივარ ამ ესტრადაზე, რომელიც აგებულია 6 დღიდან ყუმბარებიდან".

რენოდელის სიტყვიდან შნეიდერის ქარხანაში, 1916 წ. 6 აგვისტოს.

....„ჩვენი როლი ნათელია, საჭიროა საფრანგეთის დემოკრატიული და რევოლუციონური ტრადიციები ვიხსნათ გერმანიის მეფის ულღებიდან და გერმანიის მილიტარიზმისაგან".

„ბატაილ სინდიკალისტ". 1914 წ. 4 აგვისტო.

## ავსტრიაში

### ომის დაწყებამდე

„საშინელის მრისხანებით იზრდება ჩვენს თვალწინ საშიშროება. ჩვენს წინ იშლება მომავალი, რომელიც დაღუპავს ხალხის სისხლს და ხალხის დოვლათს. იმათ სახელით, ვინც იტანჯება და განიცდის გაჭირვებას, ჩვენ პასუხისმგებლობას იმ უბედურებისათვის, რაც შეიძლება მოხდეს, ვაკისრებთ იმათ, ვინც გადასდგა ეს დაღუპვისაკენ წამყვანი ნაბიჯი".

„არბეიტერ ცაიტუნგ". 1914 წ. 27 ივლისი.

„ჩვენ თავიდან ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამ ომისათვის. მტკიცედ და გადაჭრით ვაკისრებთ ამ პასუხისმგებლობას იმათ, რომლებიც აქაც და იქაც მოუწოდებდნენ მისკენ და დაიწყეს იგი. და ჩვენ გვესმის, რომ როცა ვიქცევით ასე, სრულს თანხმობაში ვიმყოფებით მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან და კერძოთ სერბიის სოციალ-დემოკრატიასთან".

„არბეიტერ ცაიტუნგ".

### ომის დაწყების შემდეგ

„ჩვენ ანგარიშში უნდა გაუწიოთ ევროპის ომის საშინელს ფაქტს, ვიქონიოთ იმედი იმის, რომ გერმანია და ავსტრია დამარცხებული არ გამოვა ამ ომიდან".

ა. შეფერის წერილიდან „რეიხენბერგის სალამოს ფოსტა".

„ემმაკი და სიკვდილიც კი ვერ შესძლებენ ჩვენი დიდი ენერგიული ერის, გერმანელი ერის დამარცხებას.., ახლა, როცა ჩვენი გერმანული სამშობლო საფრთხეშია,

# სამხედრო ხარჯები მოსახლეობის თვითეული სულზე




ყოველი ბირთვი — გასავლის 1 დოლარს. ყოველი საფულე — მოგების 50 დოლარს.

სოციალ-დემოკრატია გამოდის სამშობლოს დასაცავად და აძლევს ხაზელმწიფოს მშრომელთა დოვლათს და სისხლს".

„არბეიტერ ცაიტუნგ", 1914 წ. 5 აგვისტო.

„...ზეციური ზარივით გაისმის გერმანელთა რიგებში ყიჟინა,

პარიზისაკენ! პარიზისაკენ!"

„არბაიტერ ცაიტუნგ", 1914 წ. 5 სექტემბერი.

●

## ბელგიაში

### ომის დაწყებამდე

„გამოვსთქვათ ენერგიული პროტესტი საყოველთაო მშვიდობიანობისათვის შექმნილი მუქარის წინააღმდეგ! სანამ გამორკვეული არ არის, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, დაგვეხმარეთ იმაში, რომ ხელი შეუშალოთ და რამდენადაც შეიძლება აგლაგმოთ თანამედროვე ცივილიზაციისათვის ულირსი ზოგიერთი ველური და შეუგნებელი ადამიანების მოქმედება!

ქალებო! შემოგვიერთდით ჩვენ, წამოდით ჩვენს შვილებთან ერთად კაპიტალისტების და მილიტარისტების ასალაგმავად".

„პეპლ", 1914 წ. 1 აგვისტო.

### ომის დაწყების შემდეგ

„ომის საშინელების, სისხლიანი ხოცვაჟლეტის, ქალთა შიშის, დაობლებული ბავშვების, გაცამტვერებული ქალაქების და სოფლების გარდა ამ ბარბაროსებმა (ე. ი. გერმანელებმა,—რედ.) მოიტანეს ჩვენს გულებში სიძულვილი, რომელიც ბობოქრობს ჩვენი სულის ყველა კუნჭულებში, როგორც ჩვენი სინიდისის მრისხანე აღშფოთება და რომელიც დასჯის ამ ბარბაროსებს და სამაგიეროს მოუზღავს მათ... ეს სიძულვილი კანონიერი და ნაყოფიერია".

„პეპლ", 1914 წ. 18 აგვისტო.

„მე დღეს მოვედი აქ, რომ ვილაპარაკო ომის შესახებ და ომის სასარგებლოდ, როგორც სოციალისტი და ინტერნაციონალისტი, როგორც მშვიდობიანობის მეგობარი, მე მხარს ვუჭერ ომს ბოლომდე. აღშფოთება იწვევს ჩემში ყოველი ამხანაგი, რომელსაც სურს ზავი, ამ, არა! დანაშაული უნდა დაისაჯოს"...

ვანდერველდეს სიტყვიდან პარიზში, 1915 წ. 18 აპრილი.

●

### ომის დაწყებამდე
## ინგლისში

„ინგლისის მუშებო! თქვენ არა გაქვთ უთანხმოება ევროპის მუშებთან. მათაც არა აქვთ უთანხმოება თქვენთან. დავა ხწარმოებს ევროპის მმართველ კლასებს შორის. ნუ გახდით მათ დავას თავისათ...-იყავით მტკიცე ამ კრიზისის საათში... რის გულისათვის უნდა წახვიდეთ თქვენ საომრად? რას ეძიებთ თქვენ ომში? მუშებს არას დროს არავითარი სარგებლობა არ მიუღიათ ომისგან. ეს არ არის თქვენი ომი, ეს არის მმართველი კლასების ომი. მუშებო. მხარი დაუჭირეთ თქვენს მოძმეებს ევროპაში, იყავით მტკიცედ. ძირს ომი!"

„ლეიბორ ლიდერ". 1914 წ. 1 აგვისტო.

### ომის დაწყების შემდეგ

„არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, მშვიდობიანობის დასაცავად... მაგრამ, როცა ალვირახსნილმა გერმანელმა დემოკრობელებმა დაარღვეს ყველა ხელშეკრულებები ბელგიის ნეიტრალიტეტის შესახებ, მათი ჭკუის მიერ ხელმოწერილი; ჩვენთვის სრულიად შეუძლებელი შეიქნა უარყოფა იმის, რომ ჩვენ როგორც ერი დავალდებული ვართ... საზეიმო საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საერთაშორისო დეკლარაციებით... რომ ჩვენ ვალდებული ვართ ომი გამოუცხადოთ ევროპის მშვიდობიანობის დამრღვევს".

გაინდმანის წერილიდან. 1914 წ. 13 აგვისტო.

# რუსეთში

## ომის დაწყებამდე

„ინტერნაციონალი გაითრკვევს ლონისძიებებს, რომ თავისი გაძლიერებული პროპაგანდით, თავისი შეურიგებელი და გამუდმებული პროტესტით თავიდან აიცილოს ომი... პროლეტარიატს შეგნებული აქვს, რომ ამჟამად სწორედ მასზე არის დამოკიდებული კაცობრიობის მთელი მომავალი და ის მთელ თავის ენერგიას გამოიყენებს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის გაჟლეტას; საცობრიობის, რომელსაც ემუქრება ურიცხვი სისხლის ღვრის, სიმშილის და ავადმყოფობათა საფრთხე".

ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესის მანიფესტიდან, 1912 წ. ნოემბერი.

## ომის დაწყების შემდეგ

„ჩვენ ამ მოწოდების ხელის მომწერნი ვეკუთვნით „რუსეთის სოციალისტური აზრის სხვადასხვა მიმართულებებს... ჩვენ ბევრ რამეში არ ვეთანხმებით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვეთანხმებით ერთმანეთს, რომ რუსეთის დამარცხება გერმანიასთან ომში იქნებოდა აგრეთვე მისი დამარცხება თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებით ჩვენი თანამოაზრეები ადგილებზე უნდა დაუახლოვდნენ ერთმანეთს იმ მიზნით, რომ ხელიხელჩაკიდებულნი ემსახურონ ხალხს საბედისწერო მომენტში".

გ. პლეხანოვი, ა. ბახი, ლ. დეიჩი, ზასულიჩ-ველიჩი, პ. აქსელროდი, ი. ბუნაკოვი, ნ. ავქსენტიევი, ა. არგუნოვი, გ. ალექსინსკი და სხვ.



# პური

## ირაკლი აბაშიძე

არა გარღვევა, საქმე ლაჩრების,
არც დაყოვნება, არც თვითდინება,
იყოს დღეგრძელი მისი გამჭედი
აწყონ გუგუნი კომბაინებმა.

შვინდის დაადეთ იფნის უღელი,
სხვა ვერ გაუძლებს დღეში ორ-
სამიც,
ღონიერია და დაუღლელი
კოლმეურნითა მუშა-რქოსანი.

პური მოვიდა, დასკდა თავთავი.
როცა სიმინდში ჯერ დგას მორორი,
ნახეთ: მკისათვის ყველა მზად არი?
თუ აგვიანებს ვინმე ბორორტი.

ნახეთ: ვალების დაკმაყოფილება
ვინ ემზადება, ვინ არ დაეძებს
თუ ატარებენ დროზე ქარავანს
სახელმწიფოსთვის პირველ ნალე-
წებს?

ნახეთ: შრომელ გლეხს
სამგლე ბობოლა ხომ არ აცდენს
და ხომ არ აჯობა?
ხომ არ გრძელდება სადმე ხორბა-
ლით
კოლმეურნის, ან კერძო ვაჭრობა.

არა გარღვევა, საქმე ლაჩრების,
არც დაყოვნება, არც თვითდინება;
იყოს დღეგრძელი მისი გამჭედი
აწყონ გუგუნი კომბაინებმა.

ვინც ლაჩარია, ბლუ და ზარმაცი
მათგან ყოველი შეწყდეს მდურება,
თუ ვერ მიიღონ სარჩო ამა წლის,
თუ ვერ გადიქცენ შეძლებულებად.

ვაშა დამკვრელებს, ვინც დაგვეხმარა,
ლაჩრის სახელი არა ქვია მათ,
ვინც გადიუხდის დროზე ქვეყანას
ვალს და მოიმკის ბარაქიანად.

თავს დაგტრიალებთ. ეხლავ რაც არი,
არც გიძუყენებთ და არც დაგე-
ღლებით,
პური მოსულა, ოქროს მარცვალი
მას ელის მხარე —დაძლა ბელლები.

დადგა ჯერიანა
[illegible] ქალთა, მკეხველთა,
გასულს ახალმა ათჯერ აჯობა.
ჯერ, სახელმწიფოს, შემდეგ ბელ-
ლებს და
შემდეგ სინდისით გაჩნდეს ვაჭრობა

1933—8—VII.

# ოდიშის დღეები

## კოლიო აბრამია

რარიგ მორთულხარ, რარიგად გშვენის,
შენ გაზაფხული ჩაგიცვამს ფარჩად.
თითქოს ის დღეა მზით დანაფენი,
ჩემს ბავშობაში შენთან რომ დამრჩა.

მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა,
ჩემს გზაზე ბევრი ჩამოწვა ზვავი.
ვიდრე მე შენი ბედის ზიარად—
დამივაჟკაცდა გული და მკლავი.

წასულან წლები, სისხლით ნაპოხი,
ყველა ირგული გადაგიშენდა.
ისევ ჭადრებში დამიხვდა ქოხი,
სადაც პირველად მოველი შენთან.

მე მახსოვს შენი ნიაღვარები,
წარღვნის სადარი წყალთა დიდობა.
შემდეგ, უეცრად მზე და დარები,
მოხდილი ქვეყნად, როგორც მშვიდობა.

მე შენ მახსოვხარ, ჩემს ბიჭობაში,
ზღვამდე გაშლილი მთლიან ჭაობად—
სადაც ფერების ნაზი ქიშპობა,
შლიდა კოლხეთის სანახაობას.

ვხედავ: ბეზრდები შენ ძველი ამბით,
გადასულ ჟამთა მწუხრის მხილველი.
ჭაობებიდან მოსული დამბით—
საქართველოში დღეს ხარ პირველი.

მე თუ გადმომყვა წვიმების სევდა,
კუნთში მიელავს შენი ციება.
ტკბილი ხარ მაინც, და როგორც დედას,
შენ ყველაფერი გეპატიება.

გავცქერი ეხლა დარჩენილ ველებს,
ლაიტს უყრია ხნულებში ყური—
და მთიდან მთამდე ისევ მეტყველებს
ხალხი ამდგარი ძველი ნადურით.

მიყვარს მე შენი ფირუზის სივრცე,
ტყეები, ჭალა, ხოდაბუნები.
მზად ვარ ეს ყოფნა შენს აწმყოს მივსცე,
ყოფნა, რომელსაც ვერ დამიბრუნებ.

რარიგ მორთულხარ, რარიგად გშვენის,
შენ ეს მაისი ჩაგიცვამს ფარჩად.
თითქოს ის დღეა მზით დანაფენი,
ჩემს ბავშობაში შენთან რომ დამრჩა.

ქება ვით გითხრას ჩემმა ოცნებამ,
შენ ამ დღეების მემატიანეს,—
შენი ხოტბისთვის, ყველა მგოსნებმა,
დღეს ჩემთან ერთად დაიგვიანეს.

1933.—ხორგა.

# კ. ლიბკნეხტის ბრძოლა ომის წინააღმდეგ

ერთ-ერთი ხმა, რომელიც გაისმა ომის წინააღმდეგ გერმანიის რეიხსტაგში და რომელიც ჯერ ჩანასახში სოციალ-დემოკრატიის ლიდერების შოვინისტურმა ღრიანცელმა, ეკუთვნის კარლ ლიბკნეხტს.

1914 წლის 2 აგვისტოს სამხედრო კრედიტების საკითხის განხილვის დროს რეიხსტაგის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციაში, ლიბკნეხტმა მხარი დაუჭირა კრედიტების უარყოფას, მაგრამ 4 აგვისტოს „პარტიული დისციპლინის ძალით" მან მთელ ფრაქციასთან ერთად ხმა მისცა კრედიტებს.

კ. ლიბკნეხტი ჩქარა მიხვდა, რომ დაუშვა უდიდესი შეცდომა, რომ „პარტიული დისციპლინისათვის" დამორჩილება ფრაქციის გავლენის შენარჩუნების და მასზე ზემოქმედების იმედით, ობიექტურად ხელს უწყობდა „ნაციონალური ერთიანობის" მომხრეთა პოზიციას და შეუძლებელს ხდიდა, ფრაქცია დასდგომოდა ომის წინააღმდეგ ბრძოლის გზას.

მეორეჯერ კრედიტებისათვის კენჭის ყრის დროს რეიხსტაგში 1914 წ. დეკემბერში ლიბკნეხტი გამოვიდა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. თავისი სიტყვა კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემის მოტივების შესახებ კ. ლიბკნეხტმა შემდეგნაირად დაასაბუთა:

**„ვაცხადებს რა პროტესტს ომის წინააღმდეგ, ამ ომისათვის პასუხისმგებელ პირთა და მისი რეჟისორების წინააღმდეგ, კაპიტალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც იგი გამოიწვია, კაპიტალისტური მიზნების წინააღმდეგ, რომელთაც ის ისახავს, ანექსიონისტური გეგმების წინააღმდეგ, პოლიტიკურ და სოციალურ ვალდებულებათა დავიწყების წინააღმდეგ, რაშიც დამნაშავეა მთავრობა და გაბატონებული კლასები, მე უარვყოფ მოთხოვნილ კრედიტებს".**

ამ გაბედულმა გამოსვლამ რეიხსტაგის ტრიბუნიდან ყაჩაღური ომის წინააღმდეგ [illegible] ქარიშხალი გამოიწვია მის ყოფილ ამხანაგებში და ბურჟუაზიაში. მაგრამ ამავე დროს უდიდესი პოპულარობა და სიყვარული მოუპოვა არა მარტო გერმანიის, არამედ სხვა ქვეყნების მშრომელებში.

ამ ერთგულებისთვის ინტერნაციონალური და რევოლუციური იდეებისადმი ლენინი არაჩვეულებრივად დიდად აფასებდა ლიბკნეხტს და ყოველთვის [illegible] ასახელებდა მას.

„პროლეტარიატის იდეებისათვის დაუღალავი მებრძოლი", „ინტერნაციონალიზმის სიწმინდის წარმომადგენელი", „ჩვენი თანამოაზრე", „ჩვენი პრაქტიკული პოლიტიკის მომხრე", „ჩვენი ამხანაგი",—აი როგორ ახასიათებდა ლენინი ლიბკნეხტს.

—:—

**„ლიბკნეხტი:** **გერმანიის სესხები, იმის გამო, რომ შეიძლება მათი დაგირავება და დაგირავებიდან მიღებული ფულით ხელის მოწერა ახალ სესხზე, ტყუილა კი არ მონათლეს „perpetuum mobile"-ს სახელწოდებით. ერთგვარი მნიშვნელობით ისინი მოგვაგონებენ კარუსელს. ფაქტიურად საქმე ეხება საზოგადოებრივი სახსრების დეცენტრალიზაციას სახელმწიფო სალაროში...** (თავმჯდომარის ზარი. დიდი არეულ-დარეულობა საკამებზე; აღელვებული შეძახილები ადგილებიდან: **„განა ეს უნდა მოვითმინოთ, ბატონო თავმჯდომარევ?—ეს სახელმწიფო ღალატია. — ეს წარმოუდგენელია"**. ხანგრძლივი ზარი).

**ლიბკნეხტი.** **მე მაქვს კრიტიკის უფლება. სიმართლე უნდა ითქვას. თქვენ გინდათ ხელი შემიშალოთ მე.** ეს...

(ხანგრძლივი აღელვებული შეძახილები ადგილებიდან. ხანგრძლივი ზარი).

**თავმჯდომარე:** **ბატონებო, მე მოვითხოვ შესწყვიტოთ შეძახილები ადგილებიდან. მე ყოველ შემთხვევაში შემიძლია მწუხარება გამოვსთქვა იმის გამო, რომ გერმანელმა ამ ტრიბუნიდან იხმარა ისეთი გამოთქმები, რომლითაც აქ ისარგებლა დეპუტატმა დ-რმა ლიბკნეხტმა.**

(ცოცხალი მოწონება. აღელვებული შეძახილები ადგილებიდან: **„ის გერმანელი არ არის"**).

**ლიბკნეხტი.** **თქვენ ხართ კაპიტალისტური ინტერესების წარმომადგენლები. მე კი სოციალ - დემოკრატი, ინტერნაციონალური პროლეტარიატის წარმომადგენელი.**

(აღელვებული ხმები ადგილებიდან: **„საგიჟეთი!—უაზრობაა"**. თავმჯდომარის ზარი).

**თავმჯდომარე:** **ბატონებო, მე....**

(ხანგრძლივი საერთო მღელვარება. ხანგრძლივი ზარი).

**ლიბკნეხტი:** **თქვენი ღრიალი ადგილებიდან საამაყოა ჩემთვის. ეს.....**

(განუწყვეტელი ხმაურობა. აღელვებული ხმები ადგილებიდან, თავმჯდომარის ზარი).

**თავმჯდომარე:** **ბატონებო, აგრე არ შეიძლება. მე მოვითხოვ სიწყნარეს.**

ყვირილი ადგილებიდან: **„ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ წესრიგი უნდა დაამყაროთ, — ძირს იგი. — ჩვენ არ მოვითმენთ ამას"**.

დ—რი ლიბკნეხტი ცდილობს განაგრძოს სიტყვა.

ხანგრძლივი აღელვებული ხმები ადგილებიდან. ხანგრძლივი ზარი).

**თავმდომარე:** მე უნდა გთხოვოთ თქვენ, ბატონებო, დაიცვათ სიწყნარე. თქვენ შეგიძლიათ იმედი იქონიოთ, რომ მე დავიცავ წესრიგს. (აღელვებული ხმები ადგილებიდან), **აგრეთვე დეპუტატ დ-რ ლიბკნეხტის მიმართაც.** (ხანგრძლივი ხმაურობა. ხმები ადგილებიდან: **„მოვითხოვ სიტყვას წესრიგისათვის"). მე არ შემიძლია ახლა სიტყვის მოცემა წესრიგისათვის, მე უნდა დავიცვა რეგლამენტი.**

(ხანგრძლივი აღელვებული ხმაურობა. შეძახილები: **„არა, არა. მან არ უნდა ილაპარაკოს"**).

**ლიბკნეხტი:** ბატონებო, გუშინ პრესაში დაიბეჭდა შედარება...

(აღელვებული ხმები ადგილებიდან: **„კმარა, კმარა!"**).

**ლიბკნეხტი:** განა თქვენ ამდენი რამ გაქვთ დასამალავი? სიმართლე უნდა ითქვას; გუშინ პრესაში დაიბეჭდა მეოთხე სამხედრო სესხის შედარება... ,

(ხანგრძლივი დიდი აღელვება და სიტყვის შეწყვეტის სასტიკი მოთხოვნა. ერთ-ერთი დეპუტატი ხელიდან ჰგლეჯს ორატორს მის წერილობითი შენიშვნებს და იატაკზე ჰყრის. ხანგრძლივი მქუხარე ტაში, დარბაზში და ტრიბუნებზე; განუწყვეტლივ ისმის: **„ვაშა"**. დეპუტატი დ—რი ლიბკნეხტი სტოვებს ტრიბუნას და კვლავ ბრუნდება.

**თავმჯდომარე:** ბატონო დეპუტატო დ-რო ლიბკნეხტო, თქვენ დასტოვეთ ტრიბუნა (დეპუტატი დ-რი ლიბკნეხტი: **„არა"**).

**ლიბკნეხტი:** ბატონო თავმჯდომარე! ეს არის საძაგელი ძალადობა. მე არ წავსულვარ; ქაღალდები, რომლებიც ხელიდან გამომგლიჯა რეიხსტაგის ერთ-ერთმა წევრმა...

(ხანგრძლივი აღელვებული ხმები ადგილებიდან: **„მან არ უნდა ილაპარაკოს!"**).

**ლიბკნეხტი:** მე აგრეთ, ბატონო თავმჯდომარე, განა თქვენ არ დაინახავთ, რომ მე ხელიდან გამომ-

გლეჯეს ქალაქლდები? მე ჯერ კიდევ ტრიბუნაზე ვარ...

(ხანგრძლივი აღელვებული ხმები: **„გათავდა, გათავდა"**. თავმჯდომარის ზარი).

**ლიბკნეხტი:** ეს უსინდისობაა თქვენის მხრივ ბატონო თავმჯდომარევ! შეგიძლიათ თუ არა გაამართლოთ ეს საკუთარი სინიდისის წინაშე.

(აღელვებული ხმები: **„ძირს იგი"!**).

**თავმჯდომარე:** ბატონო დეპუტატო დ-რო ლიბკნეხტო, მე პირველ ყოვლისა მოგიწოდებთ თქვენ წესრიგისაკენ, შემდეგ კი გრიცხავთ სხდომიდან რეიხსტაგის წესების დარღვევისათვის.

(ხანგრძლივი ხმაურობა და მღელვარება, დეპუტატს დ-რ ლიბკნეხტს სურს უპასუხოს, განაგრძობს ლაპარაკს: **„ეს უსინდისობაა"**. (ხანგრძლივი ზარი და მღელვარება მთელს დარბაზში).

მეტი არაფერ არის ჩაწერილი. კამათი დასრულდა".

## არა სამოქალაქო ზავი, არამედ სამოქალაქო ომი!

**„ბრალდებული.** საკატორღო ცოხე! ღირსების ჩამორთმევა! შესანიშნავია! თქვენი ღირსება—ჩემი ღირსება როდია! მაგრამ მე თქვენ გეტყვით, რომ არც ერთ გენერალს არ უტარებია ასეთის ღირსებით თავისი მუნდირი, როგორც მე ვატარებ კატორღელის ტანსაცმელს!

მე აქ ვიმყოფები არა იმისათვის, რომ თავი ვიმართლო, არამედ იმისთვის, რომ ბრალი დაგდოთ.

არა სამოქალაქო ზავი, არამედ სამოქალაქო ომი—აი ჩემი ლოზუნგი! ძირს ომი! ძირს მთავრობა!"

(კ. ლიბკნეხტის სიტყვიდან სამხედრო სასამართლოს წინაშე).

# ვ. ი. ლენინი სწერდა ომის დღეებში

„...იმპერიალიზმმა გასწირა ევროპის კულტურის ბედი: ამ ომს, თუ არ მოხდა მთელი რიგი წარმატებით დამთავრებული რევოლუციები, მალე მოჰყვება სხვა ომები. ზღაპარი „უკანასკნელი ომის" შესახებ არის ცარიელი, მავნებლური ზღაპარი, მეშჩანური „მითოლოგია" („გოლოს"-ის სწორი გამოთქმით). სამოქალაქო ომის პროლეტარული დროშა დღეს თუ არა, ხვალ,—თუ ახლანდელი ომის დროს არა, მის შემდეგ მაინც,—თუ ახლა არა, მაშინ უახლოესი შემდეგი ომის დროს,—თავის გარშემო შემოკრებს არა მარტო ასეულ ათას შეგნებულ მუშებს, არამედ აგრეთვე ახლა შოვინიზმის მიერ მოტყუებულ ნახევრად პროლეტარებს და წვრილ ბურჟუებს, რომელთაც ომის საშინელებანი არა მარტო დააფრთხობენ და მოსტეხავენ, არამედ აგრეთვე გაანათლებენ, ასწავლიან, გააღვიძებენ, დარაზმავენ, გააკაჟებენ და მოამზადებენ „თავისი" ქვეყნის და „სხვათა" ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ ომისათვის.

„მეორე ინტერნაციონალი მოკვდა, დამარცხებული ოპორტუნიზმის მიერ. ძირს ოპორტუნიზმი, და გაუმარჯოს არა მარტო „გადარჩენილთაგან" (როგორც ეს სურს „გოლოსს"), არამედ აგრეთვე ოპორტუნიზმისაგან განთავისუფლებულ III-ე ინტერნაციონალს!"

წერილიდან „სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები". (1914 წ. 1 ნოემბერი).

## ბოლშევიზმის ძირითადი ლოზუნგები ომის დროს

1) იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, 2) საკუთარი მთავრობის დამარცხება, 3) III ინტერნაციონალის შექმნა.

„ჩვენთვის, რუსეთის სოციალ-დემოკრატებისათვის, არ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ რუსეთის მუშათა კლასისა და ყველა ხალხების მშრომელთა ინტერესების თვალსაზრისით ყველაზე ნაკლები ბოროტება იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიის, ყველაზე რეაქციონური და ბარბაროსული მთავრობის, რომელიც სჩაგრავს ევროპისა და აზიის ერების ყველაზე მეტ რაოდენობას და მოსახლეობის ყველაზე მეტ მასას.

...თანამედროვე იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად არის ერთად ერთი სწორი გზა, რომელზედაც მიგვითითებს კომუნის გამოცდილება, რომელიც დასახულია ბაზელის (1912 წ.) რეზოლუციით და გამომდინარეობს უაღრესად განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის იმპერიალისტური ომის ყველა პირობებიდან.

...გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალს, განთავისუფლებულს ოპორტუნიზმისაგან.

რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მანიფესტიდან ომის დასაწყისში (დაწერილია ლენინის მიერ).

# ომის ფაბრიკანტები

სამხედრო მრეწველობა წარმოადგენს ომების მხარდამხარ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. არ ყოფილა არც ერთი საერთაშორისო კონფლიქტი, რომლის მომზადებაში თვალსაჩინო როლი არ ეთამაშოს სამხედრო მრეწველობის მაგნატებს.

სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების მოქრთამვით (ზოგის ნაღდ ფულზე, ზოგის—აქციებით და სხვ.), გაზეთების მოსყიდვით, „საზოგადოებრივი აზრის" დამუშავების ყაჩაღური მეთოდებით, სამხედრო მასალების ფაბრიკანტები მოხერხებულად ამზადებენ ახალ კონფლიქტებს და ომებს, რომლებიც მათთვის უზრუნველყოფენ მაღალ ზღაპრულ დივიდენდებს.

ვინ არ იცნობს კრუპის, შნეიდერ-კრეზოს, ვიკერს არმსტრონგის, შკოდის და სხვ. სამხედრო ფირმების სახელებს. საქმის ვითარებასთან გაუცნობელი ფართო მასებისათვის ცნობილი არიან **ნაციონალური** ფირმები: რომლებიც „ემსახურებიან" გერმანელ ფრანგულ, ინგლისის, ავსტრიის (ახლა—ჩეხოსლოვაკიის) „სამშობლოს" თავდაცვის ინტერესებს, მაგრამ ძლიერ ცოტანი არიან გაცნობილნი იმასთან, რომ კრუპი ფართოდ აიარაღებდა გერმანიასაც და მის მოწინააღმდეგეებსაც, რომ იგი (კრუპი) მოსყიდული გერმანელი და ფრანგული გაზეთების საშუალებით საფრანგეთს აშინებდა გერმანიის შეიარაღებით, გერმანიას—საფრანგეთის ომის შემდეგ განწყობილების ზრდით და ამრიგად ხელს უწყობდა შეჯიბრებას სამხედრო შეიარაღებაში. ძლიერ ცოტამ იცის, რომ ასევე იქცეოდნენ სხვა სამხედრო ფირმებიც— შნეიდერ-კრეზო, ამსტრონგი და სხვ.

სამხედრო მრეწველობა ყველაზე უფრო მეტად ატარებს ინტერნაციონალურ ხასიათს და სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სამხედრო ქარხნები ხშირად ეკუთვნიან ერთი ტრესტს ან კარტელს. მაგალითად ნობელის დინამიტის ტრესტს მსოფლიო ომამდე ინგლისში ჰქონდა 7 განყოფილება, გერმანიაში—5, იაპონიაში—1. ნობელის კარტელი აერთიანებდა აგრეთვე საწარმოებს, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ინგლისის, ესპანეთის და რუსეთის თოფის წამლის ქარხნებთან. გარდა ამისა, ამ კარტელში შედიოდა „საფრანგეთის დინამიტის საზოგადოება", „საფრანგეთის დინამიტის დამამზადებელი საზოგადოება" და საფრანგეთ-რუსეთის საზოგადოება „დინამიტ".

მეორე საერთაშორისო კარტელში „იუნაიტედ გარვეი სტილ" შედიოდა ვიკერსისა და არმსტრონგის **(ინგლისი)**, „ბეტლეჰემ სტილ" **(ამერიკა)**, შნეიდერ-კრეზოს **(საფრანგეთი)**, კრუპპისა და „დილინგერ ჰიუტტეს" (გერმანია) და ტერნის (იტალია) სამხედრო ქარხნები; კრუპის საშუალებით კარტელთან იყო დაკავშირებული შკოდას (მაშინ ავსტრიის) სამხედრო ქარხნები, **კრუპის** (გერმანია) და **შნეიდერ-კრეზოს** (საფრანგეთი) საშუალებით კარტელთან მჭიდროთ იყო დაკავშირებული პუტილოვის (რუსეთი) სამხედრო ქარხნები, რუსეთის სამხედრო ქარხნები, რუსეთის ფლოტის აღდგენაზე რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ მიიღო **საერთაშორისო სინდიკატმა**, რომელიც აერთიანებდა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის და ამერიკის სამხედრო ფირმებს.

ამრიგად ძლიერ ხშირად, უმრავლეს შემთხვევებში, მეომარი სახელმწიფოების არმიები ერთმანეთს ესროდნენ ერთისა და იმავე ქარხნებში დამზადებული ზარბაზნებით და ტყვია-წამლით, 1866 წელს პრუსიისა და ავსტრიის ჯარისკაცები ერთმანეთს კრუპის ქარხნებში დამზადებული თოფებიდან, ასევე იყო რუსეთ-იაპონიის ომის დროს, როცა რუსი და იაპონელი მუშები და გლეხები ჟლეტდნენ ერთმანეთს „მაქსიმის" თოფებით და ტყვიამფრქვევებით, ასე იყო მსოფლიო ომის დროს, ასეა ამჟამადაც.

ნობელის საერთაშორისო კარტელი, რომელშიც შედიოდა ინგლისისა და გერმანია-ავსტრიის სამხედრო მრეწველობა, ომის

ნება აქცევდა მთლიან ფრაქციას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა პრინციპულ ერთიანობაზე და ხელს შეუწყობდა მის იდეოლოგიურ [illegible]".

„ისკრა"-მ ლენინის მეთაურობით უდიდესი მუშაობა ჩაატარა ამ მიმართულებით და მისი გავლენა კოლოსალურად იზრდებოდა, მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც წინათ „ეკონომისტების" გავლენის ქვეშ იყო, „ისკრა"-ს მიემხრო. ამასთან ერთად იზრდებოდა ნამდვილი გაერთიანების საჭიროება.

1903 წ. 30 ივლისს ბრიუსელში გაიხსნა პარტიის მეორე ყრილობა.

ლენინის მიერ შედგენილი ცნობილი მონაცემებით*- ყრილობას სულ დაესწრო 43 დელეგატი 51 გადამწყვეტი ხმით და 14 დელეგატი სათათბირო ხმით.

ყრილობის მთელი მუშაობისათვის, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ისკრელების სიმტკიცეს, მათ ერთსულოვნებას ოპორტუნისტებთან ბრძოლაში, „ისკრა"-ს ხაზის, „ისკრა"-ს საორგანიზაციო პრინციპების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

„ყრილობა,—სწერდა ლენინი,**)—დაიწყო ყველა ისკრელების მჭიდროებით(?) და მეგობრული მუშაობით, ისკრელებს შორის,—რასაკვირველია,—ყოველთვის ჰქონდა ადგილი აზრთა ერთგვარ სხვადასხვაობას, მაგრამ ეს გარეთ პოლიტიკურ უთანხმოებათა სახით არ გამოდიოდა".

მაგრამ ყრილობის მუშაობის დაწყებისთანავე გამომჟღავნდა, რომ „რამდენიმე მეყვეა „ისკრა"-ს მიმართულება ისკრელების [illegible] ცენტრალურ" მალვამ დაწესებულებებთან, როგორიცაა საორგანიზაციო კომიტეტი" (ლენინი).

ლენინი ლაპარაკობს „მოთხრობაში მეორე ყრილობის შესახებ" და აგრეთვე ბროშურაში „ნაბიჯი წინ, ორი უკან" აღნიშნავს ორ მომენტს, რომლებმაც უთანხმოება გამოიწვია ისკრელებში. ეს იყო: 1) ინციდენტი საორგანიზაციო კომიტეტის გარშემო, როცა „ჭაობი" და ყრილობის ანტიისკრული ნაწილი მერყევი ისკრელების საშუალებით შეეცადნენ „თავისიანები" შეეყვანათ საორგანიზაციო კომიტეტში თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად. ეს ცდა მარცხით დამთავრდა. 2) წესების თანასწორუფლებიანობის საკითხი, თუ ამ ორი საკითხის გარშემო პირველი ბზარი გაჩნდა ისკრელების რიგებში, პროგრამის პირველი მუხლისა და პირველი ცენტრების საკითხმა უკვე სავსებით ნათელჰყო, რომ მტკიცე რევოლუციონერ მარქსისტების მეორე(?) ისკრელების რიგებში ჯერ კიდევ(?) ხალხი, რომლებიც საქმის ნამდვილი მიზნის მიხედვით არაფრით განსხვავდებოდნენ ბერნშტეინიანელებისა და სხვა ოპორტუნისტებისაგან.

„ისკრას" მომხრეებისათვის რუსეთის მუშათა მოძრაობას უკვე იმდენად(?) ფართო ხასიათი ჰქონდა მიღწეული, რომ მის წინაშე უნდა დასმულიყო აგრეთვე საერთო პოლიტიკური ამოცანები. მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის განხორციელება სასტიკი თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ ის იქნებოდა მძლავრი, ცენტრალური კონსპირაციული ორგანიზაცია, ორგანიზაცია პროფესიონალური რევოლუციონერებისა, ცხადია, რუსეთის მაშინდელ პირობებში ასეთი ორგანიზაციის შექმნა „დემოკრატიულ საფუძვლებზე—ქვევიდან ზევით—ყოვლად შეუძლებელი საქმე იყო.

ასეთი შეხედულებიდან პარტიულ ორგანიზაციაზე გამომდინარეობდა პარტიული პროგრამის პირველი მუხლის რედაქცია, შეტანილი ლენინის მიერ:

„პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც ცნობს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას, როგორც მატერიალური საშუალებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში."



## ვ. ი. ლენინი მეორე ყრილობის დღეებში

გრიბოვის რეპროდუქციიდან.

ასეთი მოთხოვნილების წაყენება პარტიის წევრებისადმი, რასაკვირველია, იცავდა პარტიულ ორგანიზაციას მერყევი, ძმიშარა(?) არაპროლეტარული ელემენტ. შეჭრისაგან მის რიგებში, აძლევდა კონსპირატიულობის მაქსიმალურ გარანტიას.

ეკონომისტებისა და სხვა ჯურის ოპორტუნისტებისათვის კი რუსეთის მუშათა მოძრაობა არ იყო მომწიფებული იმდენად, რომ მისთვის შესაძლებელი ყოფილიყო პოლიტიკური ამოცანების დასმა, ამიტომ იგინი მოითხოვდნენ კარების ფართოდ გაღებას ყველასათვის, ვინც კი მოისურვებდა პარტიის წევრობას, ე. ი. პარტიის გადაქცევას „ნოეს კიდობნად", მის გავსებას ხალხით, რომლებსაც ხშირად, შესაძლოა, საერთო არაფერი ჰქონდა მუშათა კლასის საერთო [illegible] ამოცანებთან.

ამიტომ იყო, რომ ყრილობის „ჭაობი" და ამგვარი ოპორტუნისტული ელემენტები, ორივე ხელებით წაეპოტინენ მარტოვის შესწორებას, რომელიც მოითხოვდა, რომ პირველი მუხლის ბოლო ნაწილი შეცვლილიყო სიტყვებით: „...ისე მუშაობით ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და კონტროლის ქვეშ".

ჭაობისა და ანტიისკრელებისათვის ასე მარტოვის წინადადება იყო მისაღები, ასენი ოცნებობდნენ ფართო ლეგალურ ლიბერალური პარტიის შექმნაზე, მაგრამ რადგან შესაფერი წინადადების გატარება შეუძლებელი იყო, მათ მხარი დაუჭირეს მარტოვის წინადადებას, როგორც „ნაკლებ ბოროტებას". რაბოჩედელეცმა მახნოვეცმა (აკიმოვმა) დაუფარავად გამოამჟღავნა ყრილობაზე ჭაობისა და ანტი-ისკრელების ეს სულისკვეთება.

„აქ, მარტოვი და ლენინი,—სთქვა მან, დაობენ იმის შესახებ, თუ რომელი ფორმულა უფრო აღწევს მათს საერთო მიზანს. მე და ბრუკერი (ლიდია მახნოვეც) გვჯერა, ავირჩიოთ ის, რომელიც ნაკლებ აღწევს მიზანს, ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მარტოვის ფორმულას".

ისკრელების ნაწილის მერყეობის შედეგად მარტოვის ფორმულა მიღებული იქნა ჭაობისა და ანტიისკრელების აქტიური დახმარებით.

ამის შემდეგ ლენინის მთელი ყურადღება მიიპყრო პარტიული ცენტრების საკითხმა. პარტიული პროგრამის პირველი მუხლის ოპორტუნისტული რედაქცია პარტიის კარებს უღებდა ყველა გამვლელ-გამომვლელებს, არაპროლეტარულ ელემენტებს, მხოლოდ პარტიული ცენტრების ნამდვილ ისკრულ, ნამდვილ რევოლუციონერ შემადგენლობას შეეძლო „ისკრის" პარტიული ხაზის და ორგანიზაციული პრინციპების შემდეგში გატარების უზრუნველყოფა, არავითარმა მოლაპარაკებამ რბილ ისკრელებთან პარტიული ცენტრების შემადგენლობის საკითხში არ გასჭრა. მერყევი ისკრელებისათვის, როგორც „ნაკლები ბოროტების" წარმომადგენლისათვის ბუნდისა და რაბოჩედელცების თვალში, უზრუნველყო-




რს.-დ.მ.პ. მეორე ყრილობის უმრავლესობის ისკრელები

*) „Ленинский сборник". ტ. VI გვ. 190.
**) „მოთხრობა მეორე ყრილობის შესახებ".

იყო უკანასკნელთა მხარის დაჭერა და წოინოვეს ცეკას ისეთი შემადგენლობა ... მეტადრე ემიგრაციაში იქმნენ, მაგრამ „ბუნდის" წარმომადგენლებმა და ზოგიერთ რაზოგიერდელების წამით მოულოდნელად შესცვალა ძალთა თანაფარდობა ყრილობაზე რამაც უზრუნველყო პარტიული ცენტრების და ორგანოს ისკრული შემადგენლობა.

რევოლუციების მიღების შემდეგ მეორე ყრილობა, რომელმაც ფაქტიურად ჩაუყარა საფუძველი ერთიან პარტიას, დაიხურა, უთანხმოებებმა ორგანიზაციო, პროგრამული და ტაქტიკური საკითხების გარშემ (პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის საკითხი, გლეხობა და მისი როლი რევოლუციაში, დამოკიდებულება ლიბერალურ ბურჟუაზიისადმი და სხვ.), რომლებმაც თავი იჩინეს მეორე ყრილობაზე, ნათელჰყვეს, რომ ს-დემოკრატიაში ნამდვილი რევოლუციონური ფრთა თავის წინააღმდეგ ეყოლება არა მარტო აშკარა ოპორტუნისტული ელემენტები, არამედ ისეთი ხალხიც, რომელიც რევოლუციონური ფრაზის ნიღაბქვეშ არსებითად ოპორტუნისტების საქმეს აკეთებს.

მოვლენათა შემდეგომმა განვითარებამ ნათელჰყო, რომ ეს უთანხმოებანი, არ ყოფილა შემთხვევითი, ნათელჰყო რომ უკვე არსებობს ორი ფრთა სოციალ-დემოკრატიაში რევოლუციონურ მარქსისტული და ოპორტუნისტული. რამდენადაც უფრო ძლიერდებოდა რევოლუციონური ქარიშხალი, იმდენად უფრო ღრმავდებოდა ეს უთანხმოებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო ჯერ ორი ფრაქციისა და შემდეგ ორი პარტიის—ბოლშევიკური და მენშევიკური პარტიის არსებობას.

თუ რომელი ხაზი, რომელი ტაქტიკა და სტრატეგია უფრო აღწევს მუშათა კლასის დამარცხება შინაური კონტრ-რევოლუცია ... ელჰყოფს მუშათა კლასის ნამდვილ გათავისუფლებას, ამას ყველაზე უფრო ნათლად მეტყველებს მაგალითი საბჭოთა კავშირის და გერმანიის. რუსეთის მუშათა კლასმა ბოლშევიკების—ლენინის პარტიის მეთაურობით გაიმარჯვა ოქტომბრის დღეებში, დაამარცხა შინაური კონტრ-რევოლუცია და გარეშე ინტერვენტები და ლენინურ ცეკას და ლენინის საუკეთესო თანამებრძოლის



ამხ. სტალინის სურათის ასლი გადაღებული ბაქოს ჟანდარმთა სამმართველოს მიერ 1909 წ.
ტფილისის რევოლუც. მუზეუმის მასალებიდან.

**ი. სტალინის** მეთაურობით აშენებს სოციალისტურ სახელმწიფოს, გერმანიაში ტროცკის, მარტოვის და პლეხანოვის მეგობრებმა არაფრამდე დაიყვანეს გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება 1918 წ. ნოემბერში, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის და მასების მოტყუების პოლიტიკით გზა გაუკაფეს ფაშისტური ბანდების დიქტატურას.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება უზრუნველჰყო იმ ხაზმა, რომელსაც ატარებდა ძველი „ისკრა" ლენინის მეთაურობით, აღვნიშნავთ რა მეორე ყრილობის ერთიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნამდვილად შექმნის 30 წლისთავს, ჩვენ ვზეიმობთ ლენინიზმის 30 წლის თავს, იმ ხაზის 30 წლის თავს, რომელმაც ბრწყინვალე დადასტურება მიიღო 1905 წ. რევოლუციის დროს, 1917 წლის რევოლუციაში, რომელმაც გაიმარჯვა ოქტომბრის დღეებში, რომელმაც ლენინის საუკეთესო თანამებრძოლის და მისი საქმის გამგრძელებლის ი. სტალინის ხელმძღვანელობით უზრუნველჰყო სოციალიზმის გამარჯვება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

# ისპაჰანის—სპარსეთის კედლის მხატვრობა

## ლადო გუდიაშვილი

ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვარი ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას, იმ დიდ ხელოვნებისადმი, რომელსაც ის ემსახურება და დიდი ხნის განმავლობაში არ სჩანს მისი ინტერესი და საქმიანობა. საბჭოთა ხელისუფლებამ კი—შექმნა საუკეთესო პირობები, რათა ხელოვნების ყოველი დარგი იდგეს სათანადო სიმაღლეზე და აღწევდეს დასახულ მიზანს. **მხატვარმა მ. მღებრიშვილმა** უნაყოფოთ არ ჩაატარა მიღებული ცოდნა და: მისმა მუშაობამ გამოიღო სათანადო ნაყოფი, რაც სჩანს მის მიერ ეროვნულ გალერეაში გამოფენილ ფრესკებში. სპარსეთში ყოფნის დროს მ. მღებრიშვილმა გადმოიღო ისპაჰანში შაჰაბაზ I-ლის სასახლე „ალი-კაპუს" ფრესკების ასლები, რომლის ნიმუშები (კედლის მხატვრობა) სპარსეთის მხატვრობაში მეტად იშვიათად გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ მღებრიშვილი გარშემორტყმული იყო უამრავ ტექნიკურად არაჩვეულებრივად შესრულებულ სპარსულ მინიატიურებით, მისი ყურადღება მიიპყრო შაჰაბაზ I-ლის კედლის მხატვრობამ და მეტი ნაყოფიერებისათვის მან ირჩია ამ ფრესკების გადმოღება, რადგან ისინი მეტ მხატვრულ და ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენდენ. მართლაც, ამ ფრესკებზე მუშაობამ მხატვარს მოუტანა გამარჯვება, იქნებ მისთვის მოულოდნელი. ტფილისში ამ ნიმუშებს გაეცნო ფართო მასები, მიუხედავად ამ ნიმუშების სპეციფიურობისა, მათმა ნახვამ უეჭველად ნაყოფიერი შედე-

გი გამოილო მასებისათვის და განსაკუთრებით ჩვენ ახალგაზრდა მხატვრობისათვის.

ისპაჰანის კედლის მხატვრობა წარმოადგენს სპარსულ მხატვრობის დიდ სკოლას და მისი შესწავლა უეჭველად მეტად საინტერესოა. გადავხედოთ ამ მხატვრობას (ფრესკებს) როგორც კედლის მოხატვის პრინციპს და შაჰის სასახლის საკადრის მხატვრობას. ამ ფრესკებში უმთავრესად მოსჩანს რიტმიული და ელასტიური კომპოზიცია, რომელსაც კი ფრესკები ყოფილა დაფარული კირით და მათი გაწმენდის შემდეგ, როგორც ეს სჩანს გამოფენილ ასლებზე დარჩენილია რუხი ფერის ათარეკლი, ამიტომ ცოტა ძნელია გამოსაცნობია. თუ რა კოლორიტი ექნებოდა ამ ფრესკებს სიახლეში. მით უმეტეს, რომ ჩვენამდე მოსულმა კოლორიტმა გადაგვიძნელა მისი სისწორით შეფასება. ამ ფრესკების შემსრულებელი ეტყობა იყო აღჭურვილი უდიდესი ფერადობის კულტურულ გრძნობით. საერთოდ ტონალობა ფრესკებში იმდენად შეხამებულია, რომ ვერ შევედავებით, რომელიმე ფერის ზედმეტობაზე, ეს კი ოსტატის დიდ ნიჭს უნდა მიეწეროს. საერთოდ აღმოსავლეთ მხატვრობაში ფერადოვანობა მეტად ნაზ შეხამებით ხასიათდება. ფრესკაზე ყოველი ფერი შემთხვევით კი არ არის დადებული, არამედ ფერების რიტმიკა მუსიკალურ ოსტატობით არის აყვანილი უმაღლეს ხარისხამდე. აგრეთვე ფერების კომპოზიცია არაჩვეულებრივად შეხამებულია, რაც შეეხება მოხაზულობას (ხაზს), ეს ხომ ვირტუოზობას აღწევს. რა ანსხვავებს კედლის მხატვრობას მინიატიურისაგან; მოხაზულობა (ე.ი. ხაზი) სულ სხვა მოქნილობით ასრულებს თავის ფუნქციას კედლის მხატვრობაში. ასეთი სისტემა მოხაზულობისა იძლევა მონუმენტალურ ფორმების ხასიათს კედლის მხატვრობისათვის. ეს კი მკაფიოდ სჩანს გამოფენილ ფრესკების ასლებზე. მინიატიურულ მხატვრობაში კი ხაზი ასრულებს გეომეტრიულ, მეტად ზუსტ და მშრალ ფუნქციას კომპოზიციაში (შესადარებლად ხაზი ან საზღვრობა მინანქრის ხელობის ტექნიკაში). რაც შეეხება თემას ის სავსებით შეფარდებულია ასეთ მხატვრობასთან, მაგალითად, „არშიყი" № 1, „ქალი მწერალი" № 5, „მჯდომარე ფიგურა" № 6, „დევები", № 2, „წარჩინებული და მისი მსახური" (ევროპის გავლენით) № 28, „მთვრალი ჯარისკაცი დაყრდნობილი დიდ ჭურებზე", „ცხოველები" და სხვ.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას ამ ფრესკების გარშემო, მით უმეტეს, რომ ტფილისში ასეთი საინტერესო გამოფენა იშვიათია. რა უნდა აღინიშნოს ამ ფრესკებში ჩვენთვის სასარგებლო და გამოსადეგი, უმთავრესად ყურადღება უნდა მივაქციოთ კედლის მხატვრობისათვის საჭირო ძლიერ ხაზობრივ და თირადთვან კომპოზიციას, ფერების შეხამებას, სურათში სპეციფიურ საგნების შერჩევას, რომლებიც ახასიათებს ამდაგვარ სპარსულ ფრესკას. რაც შეეხება იმას, მიუღიათ თუ არა მონაწილეობა ამ სასახლის მოხატვაში სხვადასხვა ეროვნების მხატვრებს და იქნებ ევროპულ მხატვრებსაც, ეს შესაძლებელია და უარყოფით მოვლენათ არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ევროპის მონაწილეობამ თავისებური კულტურა შეიტანა სპარსულ სტილის განვითარებაში. შაჰაბაზ I-ის სასახლის ფრესკებსაც ეტყობათ ევროპიულ მხატვრობის გავლენა. კონტრასტისათვის მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: მხატვარი პიკასო ეროვნებით ესპანელია, მაგრამ მას, ეკუთვნის რამდენიმე ათეულ წლების მანძილზე პარიზის მხატვრობის სკოლის შექმნელის სახელი და მის გავლენის ქვეშ იმყოფება ევროპის მთელი თანამედროვე მხატვრობა.

დასასრულ, მხატვარ მატილდა მღებრიშვილ - თერკულოვას უსურვებ უფრო დაკვირვებულად და ნაყოფიერად ჩაატაროს მუშაობის შემდეგი პერიოდი. მე ვფიქრობ ცუდი არ იქნება, რომ ჩვენი ნაციონალურ გალერეის სპარსულ განყოფილებაში დაეთმოს ადგილი რამდენიმე ამ ფრესკების ნიმუშებს.



მხატვარი—მღებრიშვილი-თერკულოვა
თ. აბაკელიას ნახატი.

# ა გ რ ო ნ ო მ ი

## კონსტ. ლორთქიფანიძე

უსაქმოთ დარჩენილ გეგელიას საქართველოში თავის თავი ზედმეტად მიაჩნდა.

არ იცოდა, რა ექნა, რომ ამ ზედმეტობის საშინელი გრძნობიდან განთავისუფლებულიყო.

საკუთარ ფიქრებში და ეზოში ჩაკეტილი აგრონომი გაურბოდა იმ სინამდვილეს, რომელმაც, მისი აზრით, ჯერ მისთანა მომქმედი ადამიანები გააუქმა, და მათი სამშობლო ისევ რუსეთის ორ მიყრუებულ გუბერნიად გადააქცია.

გაურბოდა ყველა ნათესავს, მეგობარს, რომლებიც მასავით მწვავედ არ განიცდიდენ „ბარბაროსების“ შემოსევას.

ერთ ძველ ამხანაგს მხოლოდ იმიტომ ჩამოშორდა, რომ მის ოჯახში ხშირად მხიარულობდენ.

მხიარული ადამიანო! შენს მხიარულებაში არის რაღაც უხეში და ცხოველური, რაც შეურაცხყოფას აყენებს გეგელიას სევდას.

ერთხელ პირუტყვიც კი დაიბღავლებს, როცა ბოსელს მოაშორებენ და გაყიდიან. ჩვენ კი სამშობლო დავკარგეთ.... ადამიანობა თუ აღარ შეგვწევთ, მაშ პირუტყვობა მაინც შეძლებით და ერთხელ მაინც დაიბღავლეთ! — დრტვინავდა მხიარულ ოჯახებში ფეხაკვეთილი მოხუცი.

შარშან, ხონის ბირჟაზე, გეგელიას სოფლიდან ჩამოსული ტ[illegible] შეხვდა. ბარელის წინ დაძაბუნებული ბერიკაცი იდგა, რომელსაც ლაქებით აპრიალებული ძველი პიჯაკი ეცვა. მისი ზურგი და საყელო ქერტლით იყო გადათეთრებული.

ლადოს გარეგნობა და ლაპარაკი დაუნდობლად ამხელდა,—ოდესღაც მიუწვდენარ აგრონომს ახლა ყველაფრის გულისყური დაჰკარგოდა. მისი ერთადერთი წადილი იყო, რაც შეიძლება უშფოთველად მისულიყო სამარის კარამდი.

ტარასი გაოცდა, როცა ეს შრომისმოყვარე ადამიანი ასე უდროოდ მოტეხილი ნახა.

. . . . . . . . . . . . . . .

მკლავებდაძაბული ქვეყანა გაბედულ გეგმებს აზრიალებს.

თბილისის მახლობლად ზემო-ავჭალაში ექსკავატორი გუგუნებს. ბოლშევიკები თეთრი ნახშირის სასახლეს აგებენ. აჭარისტანის მთებში, ჯებირებში ჩამწყვდეული აჭარის წყალი შფოთავს და ებრძვის ადამიანის გათამამებულ ხელს. მდინარემ საგუბარი ორჯერ გადმოლახა და დაუმთავრებელი ტაფობი მოითარეშა. აგერ კიდევ გურულებს დიდი ხნის ოცნება უსრულდებათ. საკაა, ოზურგეთს პირველი ორთქლმავალი მიაკივლებს.

საქართველო გაბედულ გეგმებს აზრიალებს, მაგრამ ლადო გეგელია ურწმუნოდ აკანტურებს თავს. ავჭალა, აჭარისწყალი და ნატანები ხონიდან შორსაა... გაზეთებს კი ლადო ისე ვერ ენდობა, როგორც სიზმარს. მას ურყევად სწამს, — საქართველო ბოლშევიკების ხელში ისევ რუსეთის ორ მიყრუებულ გუბერნიად გადაიქცევა.

და მხოლოდ მაშინ, როცა ქუთაისში ყოფილი საგუბერნიო ციხის პირდაპირ, სადაც წინად ყაზარმები იდგა, მაუდის ფაბრიკის წითელი კორპუსები აიმართა; როცა მდინარე რიონიდან სარწყავი არხი „მაშველი“ გადმოაგდეს, რომელმაც თავის ქსელის სიგრძით და მოსარწყავი ფართობის რაოდენობით მეორე ადგილი დაიჭირა საქართველოს სარწყავ სისტემებში, და ბოლოს, როცა მშენებლობის ძლიერი ტალღა ხონსაც გადაუვლო და ქუთაისის ქუჩაზე საგრენაჟო ფაბრიკის აგება დაიწყეს, ლადო გეგელიამ თავის კანტური შეწყვიტა, ყური მიუგდო, იგრძნობოდა რომ საქართველოს ძლიერი და მზრუნველი ხელი მართავდა.

გაკვირვებულმა აგრონომმა კინაღამ იკითხა:

— საქართველოში ხელისუფლება ხომ არ შეცვლილა?

....იჭვი არ უნდა, კომუნისტებმა პროგრამა შეასხვაფერეს და საქართველოს გასომხების და გარუსების მაგივრად რაღაცას აკეთებენ.

**ეს რაღაც** იმდენად მძლავრია და ახლობელი, რომ გეგელიას იმედის ჩრდილი ეპარება.

იმავე წელს ხონის მახლობლად ძვირფასი კულტურების საცდელი მეურნეობა მოეწყო.

ძვირფასი კულტურების საცდელი სადგური!? არა, ეს შეუძლებელია!

გაზეთები ცრუობენ; გლეხებიც სტყუიან! ყველამ პირი შეიკრა, რომ აგრონომი თავის ეზოდან გამოიტყუონ..

გეგელიამ დაიქირავა ეტლი და საცდელ სადგურისაკენ გარახრახდა.

საკვირველი ამბავი ხდება, იმდენად საკვირველი რომ თვითონ აგრონომიც გაკვირვების ნიშანივით დარჭობილია მინდვრებზე და გალახულივით ბორტყუნებს.

— მთელ სოფ. იმპერიაში სულ რამდენიმე ათეული ტრაქტორი იყო. 10 და 20 ტრაქტორი ახლა ამ ერთი მეურნეობის მინდვრებზე გრუხუნებს.. ისიც საქართველოში, დაუჯერებელია!

მთელი დღე მეურნეობაში გაატარა, კულტურებს გაეცნო, დირექტორს ესაუბრა..

საღამოხანს შინისაკენ აფორიაქებული თავი წამოიღო.

ბარის დუქნებთან აგრონომის ეტლს ყვირილით გადაეღობა ლადოს ცოლისძმა, ალექსანდრე ლოლობერიძე.

— იქითობას უნახავად ჩაგვიარე, აქეთობას მაინც ისინდისე! არ გაგიშვებ, შენი ნათლული არ მომიკვდეს,—უსაყვედურა ცოლისძმამ და მეეტლეს უბრძანა მობრუნებულიყო.

ენაშეუნახავი ხონელები ლაპარაკობენ,—1921 წ. 16 მარტს, როცა ქუთაისიდან გვარდიელების უკანასკნელი ბატალიონები გარბოდენ, გვარდიის სამხედრო ნაწილის გამგემ, ალექსანდრე ლოლობერიძემ ჯარისტანსაცმელით და სურსათით დატვირთულ ქარავანს, ორპირის ქუჩასთან ორი ურემი ჩამოაშორა და თავის სოფლისაკენ გააპარაო.

ყოველშემთხვევაში ერთი კი აშკარა იყო. 1921—22 წლებში, როცა იმერეთის ბეღლებში თაგვების სახრიგინო ტაროც აღარ ეგდო, ყოფილ გვარდიელს ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდა: ბრინჯი, შაქარი, საპონი, ტანსაცმელი. სიმინდი სამეგრელოდან ჩამოჰქონდა.

ყოველ ხუთშაბათს ლოლობერიძე ხეთაში გადიოდა. აქედან წასვლისას ყოველთვის ინგლისური შინელი ეცვა, იქიდან კი შილიფად ბრუნდებოდა. სამაგიეროთ თავის ეზოში მძიმე ტომრებით მოპირთავებულ ეტლს შემოაგრიალებდა.

იმ მშიერ წლებში ლადოს შევიწროებული ოჯახი ყოფილი გვარდიელის ფეშქაშებით სულდგმულობდა. ლოლობერიძე ერთად ერთი ნათესავი იყო, რომლის ოჯახში აგრონომი უხვი პურმარილის გარდა სუ-

*) თავი რომანიდან.

ლიერ საზრდოსაც ღებულობდა ცოლისძმასთან გაუთავებელ საუბრებში „დაღუპულ" სამშობლოს გარშემო.

იგი აქ ხშირი სტუმარი იყო, მაგრამ ახლა, როცა ალექსანდრემ ეტლი მოაბრუნა, აგრონომი რატომღაც შეყოყმანდა.

— წამოდი კაცო, როდის იყო პატიჟი გინდოდა,—შეიკვირვა მასპინძელმა.

ლადოსაც გაუკვირდა, რომ უნებურად ყოყმანი დაეტყო და თავის მწყალობელ ნათესავს პატიჟი დაიწყებია.

მისი აფორიაქებული გონება განმარტოებას ითხოვდა, რომ პასუხი გაეცა იმ უმოწყალო ფიქრებისათვის, რომლებიც მან საცდელ სადგურიდან წამოიყოლია.

ახლა აგრონომს ნაკლებად იზიდავდა ცოლისძმასთან საუბარი და გაგება, გასულ კვირას ქართულმა ემიგრაციამ დასავლეთის რომელი მინისტრის კარი გააღახუნა, ან რა დაპირება მიიღო.

მაგრამ მასპინძელს ხათრი ველარ გაუტეხა. ეტლიდან უგუნებოდ გადმოვიდა.

ოჯახის მოკითხვის შემდეგ მასპინძელმა საიდუმლოდ მიახარა, საიმედო კაციდან გავიგე, მაკდონალდს ირაკლი წერეთელი მიუღია და საქართველოს განთავისუფლება აღუთქვამსო.

აგრონომმა ორი სიტყვაც ველარ იპოვა, რომ ცოლისძმის სიხარული გაეზიარებია. უნდოდა საუბრის ხასიათი გამოეცვალა, ისე რომ მასპინძელს არ სწყენოდა, მაგრამ საამისოდ ვერაფერი მოიგონა და ისე გულახდილობის მოლიპული გზას დაადგა.

— სამწუხარო ის არის, რომ თვალებს გაღმა ვაცეცებთ, გამოღმა კი ვერაფერს ვამჩნევთ!—უთხრა და ბანიდან ჟივილით გამოვარდნილ ნათლულს მიაყალერსა.

— რა ოხრობაა ამ გამოღმა, რომ საყურებლად ღირდეს!—ალექსანდრემ შინაურებს გასძახა,—სკამები გამოეტანათ.

— რა ოხრობაა!—გაიმეორა და სტუმარს ფანჩატურისაკენ გაუძღვა.

—რა?!—აგრონომი შეიშმუშნა. გაუბედავად ალაპარაკდა „საცდელი სადგურის შესახებ.

დაწყებისას რაღაცნაირ უხერხულობას გრძნობდა, ეს უხერხულობა გამოწვეული იყო შიშით, რომ მოსაუბრე,- ჩემს გულწრფელობას თავისებურად გაიგებს და აჩქარებულ დასკვნას გამოიტანსო.

ამიტომ აგრონომმა შორიდან დაიწყო: საქართველოს ჩამორჩენილი სასოფლო მეურნეობის ინტერესები დაჟინებით მოითხოვს საცდელი სადგურების მშენებლობას. დასავლეთ საქართველოში მიწის სიმცირეა. მიწის სიმცირეს მიწის დამუშავების



სპარსული კედლის მხატვრობის ნიმუში. გადმოღებული ოაილ. თერკულიევა მიერ.

კულტურის ამაღლებით და სარფიან კულტურების გავრცელებით უნდა ვებრძოლოთ. ამიტომ საცდელი სადგურების მნიშვნელობა განუზომელია ჩვენი მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის. ამ შესავლის შემდეგ, აგრონომი ხონის მახლობლად მოწყობილ მეურნეობას შეეხო და ხმაში ისეთი აღტაცებული კილო შემოეპარა, რომ ალექსანდრემ, რომელიც აქამდე დაფანტულად უსმენდა, სკამზე შეინძრა და აგრონომი ისე შეათვალიერა, თითქო ფანჩატურში უცნობი ვინმე შემოსულიყოს.

...ეს რა სხვანაირად მღერის დღეს!—გაიფიქრა და სმენად გადაიქცა.

აგრონომი წუხდა, რომ საცდელი სადგურის ზოგიერთ კულტურას გამოუცდელი აგრონომის ხელი ეტყობოდა.

— დირექტორის ზოგი რამ ურჩიე და ისიც დამეთანხმა!—კმაყოფილებით დაასრულა ლადომ და სურვილი გამოსთქვა, ასეთ მეურნეობაში დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ, ოღონდ.....

— ოღონდ კი მიგიღონ არა?!— მკაცრად შეაწყვეტია მასპინძელმა.

— ვინ დაგავალა, ჩემო ლადო, კომუნისტების მრჩეველი გახდიო? წყალსაც წაუღია სადგური და მისი აღმშენებელი.

აგრონომი არ მოელოდა ასე ერთბაშად თავდასხმას.

— როგორ თუ წყალს?!

— როგორ და ისე, რომ საქართველოში მათი ნაკვალევიც არ დარჩენილიყოს. ხვალაც მიდი და ურჩიე ეგება სამსახურში მიგიღონ!

გეგელია დაიბნა. ძლივსღა მოახერხა ეთქვა: რომ იგი საცდელ სადგურში საქართველოს მეურნეობის სიყვარულმა მიიყვანა და არა სამსახურის შოვნის სურვილმა.

— მე წინააღმდეგი არ ვარ,—ლუღლუღებდა მოხუცი! კომუნისტები წყალმა წაიღოს. მათი მოწყობილი სადგური კი წყალწასაღიბი როდია! იგი ჩვენ გვჭირდება, ჩვენ, ქართველებს!

ლოლობერიძემ კრეჭით უპასუხა:

—ეჰ, ასე შენისთანა პოლიტიკოსი და — საქართველოდან ბუნდღა არ დარჩება. თითეული ქვა, რომელსაც კომუნისტები ჩვენს მიწაზე დადებენ, ყოველი კედელი, რომელსაც ისინი ამოაშენებენ, თითეული საქენი არხი, რომელსაც ისინი გასთხ-

რიან, თანდათან ასუსტებს საქართველოს განთავისუფლების იმედს. მტერს ფეხის მოკიდება არ უნდა აცალო, სული არ უნდა მოათქმევინო... ისინი ციხე-სიმაგრეს იშენებენ, ჩვენს მიწა-წყალზე მკვიდრდებიან; შენ კი მათ გაკეთებულს იწონებ, ეხმარები, რჩევას აძლევ, შეცდომა გამოასწორონ! მაგრამ—მასპინძელი ხელახლა გაიკრიჭა.

— შენ არც ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ ამისთანა უბრალო ანგარიში შეგეშალოს! მაშ რაშია საქმე, რაღას ეკვიხები?! მოგშივდა? გაგიჭირდა? გამოტყდი. მდგომარეობა შეგნებას ქმნის, კუჭი კი სამშობლოს მოღალატიებს... პირველი შენ არა ხარ, არც უკანასკნელი იქნები!

— მე.. მოღალატე... მე, რომელმაც მთელი ჩემი სიცოცხლე...

აცახცახებულმა ბერიკაცმა უმწეოდ მიმოიხედა, თითქო მშველელს ეძებდა.

არ მოელოდა, ცოლისძმა თუ ასე დაუზოგველად უკბენდა. მაგრამ შეურაცყოფამ გაბედულება შემატა, და რაც დღემდე ვერ გაემხილა სამშობლოს მოღალატის წოდების შიშით ახლა გადმოისროლა.

აგრონომმა სთქვა:

— მე ხელს გაუწოდებ ყველას, ვინც საშვალებას, მომცემს საქართველოს ვემსახურო. მენშევიკებმა მე გამოუქმეს, როგორც აგრონომი, სოფლად მეურნეობა ნადგურდებოდა, მე კი იმ დროს საარჩევნო ფურცლებს ვარიგებდი, კრებებზე ვამთქნარებდი. მე მჯეროდა, როცა თქვენ ბოლშევიკებს წითელ იმპერიალისტებად ნათლავდით, და მეც თქვენსავით მტრულად ვეკიდებოდი მათ. სინამდვილე კი სულ სხვას ლალადებს. მე არაფერი მაქვს კომუნისტების საწინააღმდეგო, თუ ისინი საქართველოში ბოლომდე მოაწყობენ ამისთანა მეურნეობებს....

— შენ დაგავიწყდა, რომ ქართველი ხარ!—იყვირა ლოლობერიძემ, რომელიც წარამარა ახსენებდა თავისთავს, რომ ლადო სტუმარი იყო. ამის გახსენება იმისათვის სჭიროდა, რომ გაბრაზებულ მასპინძელს სტუმართმოყვარეობის წესი არ დაერღვია, და ეს ბრიყვი მოხუცი სახლიდა არ გამოეგდო.

— არ დამვიწყებია. მახსოვს, რომ ქართველი ვარ, და სწორედ ამიტომ მემტკივა გული, როცა იმერული გლეხის ჩაჩულა მეურნეობას ვუყურებ; მაგრამ....

შეჩერდა.

აგრონომს უკვირდა, რომ ახლა ასე ადვილად, ხელის ერთი გავლებით ხსნიდა იმ ნასკვს, რომელსაც სამი წლის განმავლობაში უშედეგოდ უტრიალებდა.

წონიდა თითეულ სიტყვას, რომ მისი გადამწყვეტი პასუხი არ ყოფილიყო კამათში მოსული ჟინით ნაკარნახევი.

ცდილობდა ისეთი მოზომილი პასუხი ეთქვა, რომელსაც ხვალაც დაიცავდა წმინდა გულით.

იყო წამი, როცა ლადოს მოეჩვენა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე ილაპარაკა, ეწინააღმდეგებოდა მის შინაგან რწმენას.

იგი თავის არსებაში ვერ ათანხმებდა აგრონომს და პოლიტიკოსს.

იყო ისეთი წამიც, როცა იგი წასვლას აპირებდა. მაგრამ მაშინვე წარმოიდგინა, რომ აქედან გაქცევა ოდნავადაც ვერ შეუმსუბუქებდა წყეულ კითხვების მარწუხებს. გაქცევა უფრო გაალრმავებდა მის ტანჯვას.

აგრონომ ლადო გეგელიას არ უნდოდა,—თავის საყვარელ ქვეყანაში ზედმეტი ადამიანი ყოფილიყო. ყაიხნის ფიქრის შემდეგ იგი მოულოდნელ დასკვნამდე მივიდა. მისთვის, როგორც აგრონომისათვის სულერთი უნდა ყოფილიყო. საქართველოში რაფერის დროშა იფრიალებდა, ოღონდ ამ დროშის პატრონებს საქართველოს კეთილდღეობისათვის ეზრუნათ.

...მაგრამ... დაჰედა მოხუცმა აგრონომმა: — თუ დღეს ქართველობა ასეთი სადგურების უარყოფას ნიშნავს, მაშინ დაე, დამავიწყდეს, რომ ქართველი ვარ, ვინაიდან ისეთი ქართველი საქართველოს მტერია!

ისინი დადუმდენ.

მეგობრები და ნათესავები ამაოდ ცდილობდენ რაიმე შემარიგებელი სიტყვით ეს უხერხული დუმილი დაერღვიათ.

ეს დუმილი უფრო აშორებდა მათ.

ისინი მიხვდენ,—ყველაფერი ითქვა და გაირკვა.

წამოდგენ და ნაძალადევი თავაზიანობით ერთმანეთს გამოემშვიდობენ.

გრილი და ნათელი ღამე იდგა. გზატკეცილზე დიდრონი ჭადრების ჩრდილი ეფინა.

აგრონომმა ეტლი გაუშვა.

— კარგი ღამეა, ფეხით გავლა მი. ლას ერიდებოდა, აღარც შინ იჩქაროდა.

ხონამდე კაიძალი გზა იყო, მაგრამ ეხლა მოხუცი აგრონომი არც დაღლას ერიდებოდა, აღარც შინ ეჩქარებოდა.

იგი ახლა დაწყნარებული იყო...

. . . . . . . . . . . . . . .

იმ ღამით ლადო გეგელიამ მტკიცედ გადასწყვიტა კომუნისტებთან თანამშრომლობა.

— ლადო თუ ახლა მოსულიერდა ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, ორივე ცოლ-ქმარი ჯამაგირში ვიქნებით!—ხარობდა მაშიკო, რომელსაც სოფლის მასწავლებლის მცირე ჯამაგირით ოჯახი ძლივს გაჰქონდა.

მეორე ღამით მაშიკოს ქოშების პაკიპუკი შუაღამემდე ისმოდა. ქმარს საგზალი გამოუწყო, შარვლებზე მოშვებული ფოლაქები დაუმაგრა, წინდები გამონემსა და იალონზე გაქათქათებული საცვლები მიართვა.

— ადექი, მოემზადე, ჩემოდანს მოუხერხე რამე. არ იკეტება და გზაში ყველაფერი დაგებნევა, მე მალე დავბრუნდები,—დაუბარა ქმარს და ბირჟაზე გავარდა დილიჟანზე ადგილის დასაბევებლად.

ლადომ საცვლები კი გამოიცვალა, მაგრამ ადგომის მაგივრად, ისევ ჩაწვა და ჩაიფუთნა.

—რა შვები კაცო?! საცაა დილიჟანი ჩამოივლის!—შიშით მიაძახა ბირჟიდან დაბრუნებულმა ცოლმა.

ლადოს ხელები კეფაზე შემოეწყვია და ჭერს მიშტერებია. სდუმს, თითქო არც კი ამჩნევს ცოლის კაპასობას.

— რა ჯანდაბა აგიტყდა?! სიმშილით გინდა ამოგვწყვიტო?! ამდენი სული რაფერ შევეწიროთ შენს უკუღმართ პრინციპებს?! ნუ გადაიქცევი მძორად!

ლადო წამოჯდა მორჩილი საყვედურით დაწყლიანებული თვალები ცოლს მიაპყრო.

— ქალო, ცოდვა ვარ. შენ მაინც ნუ დამძრახავ. სად წავიდე, ვის მივადგე? კომუნისტობზე ორი კეთილი სიტყვა წამომცდა, და შენმა ძმამ, ალექსანდრე ლოლობერიძემ, სამუდამოთ დამკარგა. ორიოდე ძველი მეგობარი კიდევ შემრჩა. ახლა ისინიც მომიძულებენ, როცა გაიგებენ, — კომუნისტებს შეურიგდაო. ჯანდაბას, მომიძულონ, იმდენი გამბედაობა კიდევ მაქვს,—მათი კილვა ავიტანო. ჩემი ქვეყნისათვის მე ამ მსხვერპლსაც გავიღებ და ყველას ჩამოვშორდები, მაგრამ ვინ იქნება თავდები რომ კომუნისტები ჩემს გულწრფელობას გაიგებენ და ზიზღით არ დახედავენ მათკენ სამეგობროდ გაშვერილ ხელს? ვინ დაიჯერებს, რომ დღევანდელ ლადო გეგელიას არაფერი საერთო აქვს იმ ლადოსთან, რომელიც ორიოდე წლის წინად ანტისაბჭოთა გამოსვლებში მონაწილეობდა! ძველი მეგობრები დავკარგო, ვეღარც ახლები ვიშოვო.. მთლად ამოვვარდე კაცობიდან? ამ ქვეყნად არაფერია უფრო საშინელი, როცა არც იქითა ხარ, არც აქეთ, როცა ძველი გაგრიყავს და ახალიც ზედმეტად ჩაგთვლის. ჩემთვის, როგორც ყველა ხანდაზმულ კაცისათვის ძნელია სტუდენტობის დაუვიწყარ დროიდან მოყოლებულ მეგობრების გამოცვლა. მზად ვარ ეგ სიმწარეც ვიგემო, მაგრამ, ისინი, ახლები, მიმიღებენ?!

— მაშ სიმშილით დავიხოცოთ!— დაიკნავლა ცოლმა, რომელმაც წუხელივე გამოიანგარიშა რას მოხმარებოდა ქმრის პირველი ჯამაგირი.

ლადოს გული ატკინა ცოლის ასეთმა გაუგებლობამ. ამ წუთში ყველაზე ახლობელი ადამიანი ყველაზე შორს იდგა მისგან.

ამ დღის შემდეგ, ლადომ უფრო მოიწყინა. ისევ ძველებურად შუბლგაუხსნელად იჯდა თავის აივანზე და იგონებდა იმერეთის შარგზებზე განიავებული ახალგაზრდობა.

ხოხელი ჩარჩები გულმოდგინედ აცარიელებდენ მის ოჯახს. როცა ისინი ეზოში შემოაბიჯებდენ, თითქო მიწა იძრაო, ლადო ისე გარეტებული გამორბოდა შინიდან. იგი ვეღარ უძლებს ცოლისა და შვილების მოსაყვედურე მზერას.

...მოკვდი ლადო გეგელია! შენი დღევანდელი ცხოვრება მხოლოდ კვამლია იმ დიდი ცეცხლისა, რომელსაც ოდესღაც შენი ახალგაზრდობის იმედები ანთებდა შენ ზედმეტი ხარ, ნაცარი ხარ, რომელიც და აიწმინდოს ახალთაობის კერიდან. ისინი უშენოდაც გასძლებენ!

—დრტვინავს ღამღამობით მოხუცი აგრონომი.

ლადოს ჩვეულებად გადაექცა ხონის ბაღში ხეტიალი. ზურგზე ხელებ დაწყობილი დაბაჩუნობდა ალიზით გადაყვითლებულ ბილიკებზე. სადმე მზის ყურში ჩაჯდება და მიმღნარებული ხმით ემუსაიფება ნაცნობ ვაჰრებს, რომლებიც წელს ჩოთქის მაგივრად, შავ კრიალოსანს მარცვლავენ მოწყენით.

შინ მხოლოდ შუადღით შემოიხედავს, აჩქარებით ისადილებს და ნაცნობ ოჯახებში გარბის პრეფერანსის სათამაშოდ.

ერთხელ ლადომ თავის ჩვეულებას უღალატა: ადრე დაბრუნდა. შეშინებული ცოლი კიბეზე ჩამოეგება.

— კაცის ფერი არ გაქვს! რა მოგივიდა! გული ხომ არ გიწუხს? რამდენჯერ გითხარი, ეზოდან უხეფსოდ ნუ გადახვალ მეთქი!

— მიწუხს,—ლადომ სული ძლივს ამოიბრუნა:—სიხარულით მიწუხს! ნახე!—

აცახცახებული ხელით გაზეთი მიაწოდა.

აგრონომი მეათეჯერ კითხულობს „საფეიქრო მრეწველობის განთავისუფლების საჭიროების აუცილებლობა უცხოეთის დამოკიდებულებისაგან და ბამბის ნათესების შედარებით სიმცირე გვაიძულებს ვეძებოთ ბოჭკოვან მცენარეების ახალი სახეები.

დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკები, სადაც ბამბა ნაკლებ მოსავალს იძლევა," ჩვენ ჯერ ვერ გამოგვიყენებია სხვა ტეხნიკური კულტურების გასაშენებლად, და ეს იმ დროს, როდესაც იქ მშვენივრად ხარობს ქენდირი, რამი ახალზელანდიური სელი, კენაფი და სხვ.

ყველა ამათში ყველაზე ხელსაყრელია რამი, რომელიც მეტი რაოდენობის და მაღალი ღირსების ბოჭკოს იძლევა. ამიტომ მან უსათუოდ პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს...

მეორე წერილი ასეთი მოწოდებით ბოლოვდება:

...ფართო გზა ახალ სართავ კულტურებს! მცირე შემოსავლიანი სიმინდის ძეირფასმა კულტურებმა უნდა შეცვალოს...

მესამე წერილი იუწყება, რომ ქუთაისის მახლობლად სო. კვახჭირში ეწყობა ამიერ-კავკასიის ქენდირ-რამის საცდელ-სამეცნიერო სადგური, რომელიც მიზნად ისახავს ჯიშების გამოცდას და სხვ. მეურნეობებისათვის ნერგების მიწოდებას.

კითხულობს აგრონომი და წარამარა თავის შენიშვნებს ისვრის.

„— ცდებით, ჩემო ბატონო, მწვანე რამი სრულებით ვერ უძლებს მოყინვას!

„— ეს კი სწორია.

„— ვინ მოგახსენათ?! ბოჭკოს მიღების მეთოდზე მე ჩემი შეხედულება მაქვს. და კიდეც დაგიმტკიცებთ!

საღამო ხანი იყო, როცა გეგელიამ გაზეთი დაკეცა.

მან სთქვა.

— ასე მგონია, ხელახლა დავიბადე! კომუნისტები ჩემს ოცნებას ახორციელებენ. ისინი ვალდებული არიან მიმიღონ, მამუშაონ... მე მათ ვესაჭიროები, მე ჩემი რამი მეძახის.

და მოხუცმა აგრონომმა განკარგულება გასცა. დაელაგებიათ მისი სამუშაო ოთახი, რომელიც დიდიხანია საკუჭნაოდ იყო გადაქცეული. ლადო იშვიათად შედიოდა შიგ. მატოვებული ოთახი მაშიკომ მწნილისა და ყველის ხალმებით გამოტენა. თებერვლის ყინვებში კვერცხებზე დამჯდარი დედლები სამზარეულო ფაცხიდან იქ გადაიყვანა. ახლადგამოჩეკილმა წიწილებმა ლადოს საწერ მაგიდის ქვეშ გამოიზამთრეს.

მეორე დღეს აგრონომი თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტა.

საჭირო იყო ყველაფრის თავიდან დაწყება.

მაგიდის უჯრებიდან უცხოეთის ფირმებთან მიმოწერა გამოჩქექა, თაროებზე გაფანტული რვეულები შეკრიბა, ოდესღაც ჩაწერილი შენიშვნები შეარჩია და გახურებული გულით შეუდგა იმ მოხსენება — ნარკვევის წერას, რომელიც მან საქართველოს გასაბჭოების მეორე დღესვე გაანადგურა.

გაიღვიძა ტეხნიკური კულტურების ძველმა მეოცნებემ.

მიწათმოქმედების კომისარიატში ვრცელი მოხსენება გაუგზავნა ახალი ბოჭკოვანი მცენარეების შესახებ.

ორი მოუსვენარი კვირა გავიდა.

პასუხის მოლოდინში, მოხუცი ქვადაყორეს ედება.

ცდილობს რაიმე ხელსაქმით ამოავსოს ეს ცარიელი დღეები, რომ მას დაჭიმულ ძარღვებს სიმშვიდე ელირსოს.

ხან გატყევებულ ხეხილის ბაღში ფუსფუსებს, ხან კარჩამოვარდნილ ჩეჩმას აკეთებს, და რაკი პასუხი დაიგვიანა, სამზარეულო ოდას მიადგა დამპალი ყავრების გამოსაცვლელად.

მისი ასეთი გამოცოცხლება ყველას უკვირს — მეზობლებს და შინაურებს.

შებინდებისას მოქანცული გაუგდება საწოლზე.

— რომ-არ დამიძახონ?! — გაუელვებს წამით.

გაურკვევლობით გაწვალებული აგრონომი ღამით აკვიატებულ იქვებს წიგნებით იშორებს.

მესამე კვირა იწურება.

ერთ საღამოს, სამზარეულოს სახურავზე აბობღებული მოხუცი მისი ხნოვანობისთვის უჩვეულო სიჩქარით ჩამოიჭრა მიწაზე: ჭიშკართან ფოსტალიონი იდგა.

მოხუცმა დეპეშა ჩამოართვა. მაგრამ ძალა არ ეყო, წაეკითხა.

იქვე ჩამოჯდა. დამშვიდებული გასცქეროდა სივრცეს, თითქო არაფერიც არ მომხდარიყოს.

მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ რამდენად მოქანცულა იგი ამ ერცაბე ქაღალდის მოლოდინში.

ახლა ისვენებს. მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია. დეპეშა ხელში უჭირავს. საკმარისი ოდნავ გაშალოს....

ამ საღამოს მოხუცი აგრონომი ან ყავრების გამოცვლას მოათავებს, ან ისევ ბაღი წალოლდება ხმაწართმეულ კაჭრებთან....

დაკეცილ დეპეშას ყური გადაუწია, ჩაიჭვრიტა.. მერე ერთბაშად გახსნა.

იმ საღამოს ლადო გეგელია სამზარეულო ოდის სახურავზე არ ასულა, აღარც ბაღის ბილიკებზე გამოჩენილა.

ნაშუაღამევს აგრონომი რბილად ირხეოდა მეორე კლასის კუპეში, და მატარებლის ბორბლების რიტმიულ ძაგძაგში, თავის მწუხარე ცხოვრების განახლებაზე ოცნებობდა.

დეპეშა ამიერკავკასიის ქენდირ - რამის ტრესტისგან იყო.

გეგელიას სასწრაფოდ თბილისში იწვევდენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრინჯაოს მხედარი

## ა. პუშკინი

ნახ. მხატვ.—რ. ლორის-მელიქოვისა.



პეტრეს მოედანს მშვენებს ახალი
სახლი რჩეული და ტან-მაღალი,
მის აივანზე მუდმივ დარაჯად
აწეულ თათით სდგას ორი ლომი,
თითქოს ცოცხალი და დაუდგრომი.
მარმარის მხეცზე სოველ ფარაჯით
უქუდოთ, გულზე ხელებდაკრეფით
იჯდა ევგენი, ნაცემი შხეფით.
ის არ ნანობდა თავის თავს—მკრთალი,
მას არ ესმოდა, თუ როგორ წყალი
ბრაზობს და მის ლანჩის ეხება,
როგორ გურგვინავენ ქარნი მეხებად,
როგორ მოაძრო გრიგალმა ქუდი,
ახსოვდა სხვა დრო და სულ სხვა წუთი.
სასოწარკვეთით ალსავსე ცქერა
მხოლოდ ერთ მხარეს მან მიაშტერა.
და ამბოხებულ სიღრმის ზვირთები
კვლავ მოჰყორავდენ ვითარცა მთები.
ქარი დაქროდა, ტალღების ზევით
სახლის ნატეხი სჩანდა გარკვევით.
ო, ღმერთო, ღმერთო! წყალთა მეზობ-
ლად,
თითქმის უბესთან მდებარეებს ობლად
პატარა სახლი, ტირიფი, ყორე,
იქ ცხოვრობს ჩუმად ორნება ორი:
ქვრივი-ასულით: ოცნება შორით:
მისი პარაშა. სიზმრად თუ ხედავს
ყველაფერს ამას? თუ არის ნეტავ
ჩვენი ცხოვრება—ყალბი ზმანება,
ბედის დაცინვა, ძირს დაქანება?
თითქოს მარმარში მოკალთოებით
ის დაატყვევა თავისი ცქერით.
ვერ ჩამოსულა! წყლის ურდოები
ირგვლივ—და მეტი სხვა არაფერი.
იმისკენ ზურგით შემოქცეული,
ხელშეუხებელ მაღალ მწვერვალზე,
სადაც ბობოქრობს ტალღა წყეული,
ამბოხებული მდინარის წყალზე
მოსჩანს მხედარი ბრინჯაოს რაშით,
ხელით გაწვდილით მაღლა ზეცაში.

### ნაწილი მეორე

ნევამ იჯერა გული დარბევით
და მოჭანცულმა მეტ თავხედობით
იბრუნა პირი დანახარბევი,
რომ დატკბეს თავის ველურ ქმედობით.
თავის ნადავლი ზიზღით დატოვა...
ასე ყაჩაღი, რომელსაც ხროვა
ახლავს აყაზაკთ—დაესხმის სოფელს,
ყველაფერს მისცემს მახვილს ულმობელს...
ძარცვა, მკვლელობა და კბილთა ღრჭენა...
კვნესამ, განგაშმა წაიღო სმენა!
შემდეგ ნაძარცვით დატვირთულები,
დევნის შიშის ქვეშ, დაჭანცულები
აყაზაკები შინ იჩქარიან,
გზაში კარგავენ ნადავლს მარიან.

წყალმა დაიკლო და ქვაფენილი
ბრწყინავს—უეცრად გამოჩენილი.
ეტრფის მდინარეს ჩვენი ევგენი,
მოცული შიშის ფარული სენით,
მხოლოდ მწუხარე ხმებისა მსმენი,
კიდევ ბრაზობენ ავი ზვირთები,
ზეიმის გრძნობით დანატვირთები,
თითქოს მათ კიდევ ხანძარი სწვავდა
და ქაფიანი ქურქი ფარავდა.
მძიმედ სუნთქავდა ნევა რბეული—
ცხენი ბრძოლიდან გამოქცეული.
ევგენიმ წყალთან მისვლა გაბედა
და ნავს წააწყდა ის უცაბედად.
იგი მენავეს ახლა უძახის,
რომელიც თავის უდარდელ სახით
ათიმეტს უზალთუნს, მას გასამრჯელოს,
სჯერა: გაიტანს ტალღების ლელოს.

დიდხანს ებრძოდა მენიჩბე მარდი
ტალღებს ამღვრეულს და გაბრაზებულს,
ნავი მოსდევდა ზვირთების კრებულს,
თავის მგზავრებით მათი ნავარდის
ყოველ წუთს მსხვერპლი რომ გამხდარი-
ყო,
მაგრამ მდინარემ ნავი გარიყა.
აი ნაპირი.
საბრალო გარბის
ნაცნობი ქუჩით, უცქერის ხარბად,
ადგილებს ჩვეულს და თან გარეულს;
სურათს საშინელს და სიზმარეულს!
და მის წინ ყრია უწესო გროვად,
რაც კი მდინარის რისხვამ დასტოვა.
დაშლილ ფიცრების გამოჩნდა მტევნი,
დანგრეულია სახლები ბევრი;
ზოგიერთები უკულმა დგანან,
ერთ ბრძოლის ველზე კოცელგან სჩანან
დამხრჩვალთ გვამები. მაშინ ევგენი
სასოწარკვეთილ და გიჟურ რბენით
იქ მიჰქრის, სადაც ბედი ძარადი
ელის, დაბეჭდილ უცხო ბარათით,
და იგი გარბის საოცარ გრძნობით.
უბე... სად არის სახლი ნაცნობი?
ზარდაცემული სდგას იგი სვეტად.
უკან დაბრუნდა ის უცაბედათ,
ნაცნობ სახლისკენ ისევ იჩქარის,
აი ტირიფი... კვალი ჭიშკარის,
არ სჩანს და სახლი აღარსად არის,
ის შემოჰვილი დარდით, მწუხარე,
ეკამათება თავის თავს ახარედ,
უცბად დაირტყა მან შუბლზე ხელი
და ახარხარდა ლამისა შეელი.
მიერთოლვარე ქალაქს მოედვა ბნელი.
მაგრამ მცხოვრებლებს დიდხანს არ
სძინავთ,
ერთიერთ შორის აქვთ საუბარი
გარდასულ დღეზე: დილა კი ბრწყინავს.
სატახტოს თავზე წითელ სფეროთ
ფარავს წარსული დღის ბოროტებას
და დარბეულთა კვნესა-გოდებას.
და ყოველივემ სახე ჩვეული
ისევ მიიღო და დარბეული
გამოფხიზლდა ჭირში ხალხი.
მის უგრძნობ სახეს არ აჩნდა თალხი.
კვლავ სამსახურში მოხელე მიდის,
ღელეს ვაჭარი—არ მცოდნე რიდის
მდინარისაგან სარდაფს გაძარცულს,
და იმედი აქვს რომ ზარალს წარსულს,
იგი აიღებს მალე სხვებიდან.
ნავებს ზიდავენ ეზოებიდან.
გრაფი ხვოსტოვი კვლავ ლექსებს სწე-
რდა
და მირონცხებულ მგოსნის გზნებითა
უბედურებას იგი უმღერდა.
მაგრამ საბრალო ჩემი ევგენი...
იგი მოიცვა სრულ დაღონებამ,
ველარ გაუძლო მისმა გონებამ
საშინელ განცდებს. ტყვექმნილი სმენით
ნევის და ქარის ხმაურს უსმენდა.
უცხო ფიქრებით ავსილი—კენტად
ის დაცდოდა, რაღაც სიზმარი
თან აწვალებდა წუთი ცისმარი
და შეპყრობილი საოცარ სენით,
არ ბრუნდებოდა სახლში ევგენი,
როცა გავიდა საკმაო ხანი,
მიაქირავა მისი საკანი,
სახლის პატრონმა ხელმოკლე პოეტს.
ევგენი გაჰყვა აშლილ გონებას,
არ მიაკითხა თავის ქონებას—
ეხეტებოდა ბრბოს მიეთ-მოეთის,
დიდი ხანია მან დაჰგმო ბინა,
და ნავთსადგურში ხშირად ეძინა.
ის სამოწყალოდ გამოწვდილ ლუკმით
ცხოვრობდა მუდამ, მოხეტე, უქმი,
[illegible] ქვეშს იმას ძველს
მუდამ უცნაურს და ჩამოხეულს.
გზას არა სოდეს ის არ ამჩნევდა
და სცემდენ მათრახს მეეტლეები.
ჰქშოდენ უმიზნოდ მისი დღეები,
და სწვავდა რაღაც უთქმელი სევდა
არარეალ განგაშით გაყრუებული,
ის ცხოვრობდა ყოფას, ზმანებს,
და უბადური, მკრთალი, ვნებული,
არც ნადირს ჰგავდა
არც ადამიანს.
არც ის და არც ეს, ვით ცოცხალ-
მკვდარი.
მას ნავთსადგურში ეროხელ ეძინა,
და შემოდგომის იყო ბედარი,
ქარმა გასტეხა მდინარის მინა,
ტალღა სწვდებოდა ნაპირს ჩივილით
საფეხურებთან ის მდებარეობდა.

*) დასასრული, იხ. „ეკრანში" № 13.

ეოი მომჩივანი გულის ტკივილით
ყრუ მსაჯულების სასტიკ კარებთან.
გამოეღვიძა საბრალოს. ქარი
გმინავდა ისე როგორც ავთარი.
ზღვას მღელვარე ცრემლი სდიოდა,
და შორს გუშაგის ხმა გაჰკიოდა
უცბად წამოხტა ევგენი, იმას
მთელი წარსული საშინელება,
რაზედაც ფიქრი მას ეძნელება
კვლავ წარმოუდგა. უსმენდა წვიმას,
ირგვლივ დაიწყო მან ხეტიალი,
სწრაფ შეაჩერა ნაბიჯთ ტრიალი.
თვალი მოავლო მან შიშით არეს,
საზროის სვეტებ-ქვეშ ახლა ის არის:
იქ მოდარაჯე იდგნენ ლომები,
აწეული თათით, დარაჯლომები,..
და მის პირდაპირ საშინელ ლანდით,
ირგვლივ შეზღუდულ და მაღალ კლდე-
ზე

აპყრობილ ხელით მხედარი სჩანდა.
ამაყად მჯდარი ბრინჯაოს ცხენზე.
ევგენი შეკრთა. მას მოაგონდა
კვლავ ყველაფერი: ტალღით არეული,
წარღვნის ფართობი გაავებული,
სადაც სტიქიას ზეიმი ჰქონდა,
ისევ ლომები ნისლით მოცული,
და ის მხედარი ბრინჯაოს თავით,
რომლის ულმობელ ამაყ სურვილით
ზღვასთან ქალაქი დაარსდა აქ.
საშინელია ის ამ წყვდიადში!
შუბლზე ბეჭედი იდუმალ ფიქრის!
ნეტა რა ძალა იმალების მასში,
როგორი ცეცხლით იწვის ეს რაში?

ამაყო რაშო! შენ საით მიჰქრი,
და სად დაუშვებ ფეხებს გიჟ სვლაში?
სასტიკო ბედის მძლავრო მფლობელო!
განა შენ ასე უფსკრულის თავზე
რკინის ალვირით, ო, ულმობელო,
არ დააყენე რუსეთი ყალყზე?

და კვარცხლბეკს გულის აფორიაქილე-
ბით

უვლის შეშლილი, მთლად მოცახცახე.
ის მიაჩერდა გიჟურ თვალებით
ძლევამოსილი მპყრობელის სახეს,
ისევ შეშფოთდა. თავისი შუბლით
ცივ მოაჯირის მიეკრა ფოლადს,
თვალნი [illegible] ღრუბლით
და რაღაც ცეცხლმა ის აათრთოლა.
მოაწვა სისხლი, ის დადგა მკვახედ
ამაყ კერპის წინ ბრაზმორეული.
და კბილთა ღრჭენით, ცოფიან სახით
სთქვა, შეპყრობილმა ძალით გრძნეუ-
ლით
„მაშ კარგი, ვნახოთ, აღმშენებელო!..“
უცბად გაიქცა განაქანებით:
მას მოეჩვენა რაღაც ზმანებით,
რომ მეფის სახე [illegible]
მისკენ მოიქცა სწრაფ მრისხანებით.
რბის ყრუ მოედნით საბრალო გიჟი,
უკან ხმაური მას ესმის შიშით:
თითქოს დამტვრეულ გრგვინვის გრია-
ლი
ცხენის თქარუნი, შორით შთენილი,
და უპასუხებს მძიმე ზრიალით
ამბოხებული მას ქვაფენილი.

განათებული ფერმკრთალი მთვარით,
ხელით-აწეულით მაღლა ზეცაში,
იმას ბრინჯაოს მისდევს მხედარი
გამოჭენებულ და მგრგვინავ რაშით,
და მთელი ღამე საბრალო გიჟი,
სად არ წავიდა, ესმოდა შიშით
რომ მას მისდევდა მძიმე [illegible]
იგი მხედარი მონაჩვენები.
და ამის შემდეგ, როს უხდებოდა
ამ მოედანზე გავლა ევგენის,
იმის სახეზე შიში ჩნდებოდა,
ხელს მიიკრავდა ის გულზე ტკენით,
თითქოს აცხრობდა მის ცემას მარადს,
ქუდს გახუნებულს იხდიდა წყნარად
და მიდიოდა გვერდზე ძრწოლით.
არის პატარა ზღვაზე კუნძული,
ხანდახან მივა იქ ალმაცერად
მეთევზე თავის ღარიბ ფაცერით,
და თევზს იკრეფს ის ვახშმად [illegible]-
ან და მოხელე აქ მოდის კვირას
ნავით. ჩუმია მკვდარი სავანე
მასზედ არ ხარობს ბალახი მწვანე
აქ წყალდიდობამ უბოროტესმა
მოიტანა ძველი სახლი ოდესმე
და იგი სჩანდა ვით ბუჩქი შავი,
და ის გასულ წელს გაზაფხულს ნავით
იყო თითქმის მთლად დანგრეული,
იმის კარებთან ევგენი ნახეს,
და მისი გვამი ცივი, ეული
ღვთის გულისათვის იქვე დამარხეს.

თარგმანი:

ვალ. გაფრინდაშვილის.

# თეთრი ზღვის არხი

ათასეულ კილომეტრებზე გადაჭიმულან: ლენა, ენისეი, ირტიში, ვოლგა, დნეპრი, დონი, ობი, ამური საბჭ. კავშირის სხვა მდინარეები. ეს მდინარეები საუკეთესო საშვალებაა სხვადასხვა ტვირთების იაფად და სწრაფად გადასაზიდათ, თვით შორეულ მხარეებშიაც კი. მიუხედავად ამისა დღემდე ყველა მდინარე არ არის გამოყენებული სანაოსნოთ.

ძველს რუსეთში სანაოსნო გზებს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მართალია ზოგი მდინარეები გამოყენებული იყო სანაოსნოთ, მაგრამ სრულიად არავინ ზრუნავდა მათ კეთილმოწყობაზე.

მხოლოდ პროლეტარიატმა, სახელმწიფო ძალაუფლების აღების შემდეგ, მიაქცია სერიოზული ყურადღება სანაოსნო გზათა გაუმჯობესებას. პირველი ხუთწლედის უდიდეს სამუშაოთა გეგმებში საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სანაოსნო გზათა ქსელის გაფართოებას. ძველი სანაოსნო მდინარეთა გამოყენების გაძლიერება, მათი რეკონსტრუქცია, ათეულ ახალი საოსნო გზების შექმნა, ნიშნავდა—ინდუსტრიალური ქვეყნისათვის ახალ რაიონების აღმოჩენას, პურის, მანქანების, ნედლეულის, საალმშენებლო მასალისა და ნავთის გადასაზიდათ ახალი სანაოსნო გზათა ქსელის გახსნას, ეს ნიშნავდა აგრეთვე იმას, რომ მივარდნილ მივიწყებულ რაიონებში



ამხ. იაგოდა
გაერთ. სახ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე, თეთრი ზღვის არხის მშენებლობის უფროსი.

შეიქმნებოდა უკეთესი პირობები ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ფართოდ გასაშლელად. ხუთწლედის გეგმამ შესცვალა ჩვენი ქვეყნის ხედაპირი. მან შესცვალა ჩვენი სანაოსნო გზათა ქსელი. ყველაზე დიდმნიშვნელოვან ფაქტს ჩვენს სანაოსნო გზათა მშენებლობაში წარმოადგენს ორი ხელოვნური გიგანტური სანაოსნო გზის მშენებლობა: ესენი არის — **ბალტიის და თეთრ ზღვებს შორის გაყვანილი არხი, რომელიც აერთიანებს ამ ორ ზღვას და ჯებირებისა და შლიუზების მოწყობა დნეპრზე, რამაც ისტორიის მთელ მანძილზე დნეპრი პირველად გადააქცია მთელს თავის სიგრძეზე სანაოსნო მდინარედ.**

თეთრი ზღვის არხის საშუალებით ჩვენმა გემებმა თავი დააღწიეს სკანდინავიის ქვეყნების გარშემო შემოვლას. ამ არხის საშუალებით გაიხსნა უმოკლესი გზა კარელიის უდაბურ ტყეებისაკენ, პეჩორის ნახშირისა და ჩრდილოეთის სხვა სიმდიდრეებისაკენ. ეს არხი ხელს შეუწყობს საბჭოთა ჩრდილოეთის საწარმოო ძალთა განვითარებას.

პარტიამ და ხელისუფლებამ ამ არხის გაყვანა **მიანდვეს საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს. არხის მშენებლობა დაიწყო 1931 წ. ნოემბერს. დღეს ეს დავალება პირნათლად შესრულებულია.** ბალტიისა და თეთრ ზღვას შორის უკვე დადიან გემები. წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარი ჩაიბარა ეს გზა და ჩარიცხა საბჭოთა კავშირის მოქმედ სანაოსნო გზათა რიცხვში. არხის მშენებლობაზე ბოლშევიკების მიერ მიღწეული გამარჯვება — არის ბოლშევიკური ტემპების გამარჯვება. ეს არის უდი-



თეთრი ზღვის არხი. — პოვენჩანის „ხიდის" პირველი შლიუზი.

...სი ისტორიული მნიშვნელობის გამორკვევა.

პირველ მაისს **გავიდენ პირველი გემები დნეპრით კიევიდან ხერსონისაკენ**. ისტორიაში დნეპრი პირველად გახდა მთელს მანძილზე სანაოსნო მდინარე, ისტორიაში პირველად გავიდნენ გემები დნეპრის ჩანჩქერებზე **—დნეპროპეტროვსკიდან კიჩკასამდე**.

კებირებისა და შლიუზების მშენებლობა კიდევ არ სწყვეტს დნეპრის მთელს პრობლემას. ჯერ კიდევ წინ არის უდიდესი სამუშაოები „დიდი დნეპრის" გარშემო, ე. ი. ღრმიერი სანაოსნო გზის მოსაწყობად ხერსონიდან ლენინგრადამდე, ეხლა ამ გზის მიმართულებს ჯერ კიდევ შესწავ...ის სტადიაშია, მაგრამ



შლიუზის გახსნა გემის გაშვების წინ.

...არ არის ის დრო, როცა თეთრი ზღვიდან ლენინგრადამდე გავლით სამხრეთისაკენ, შავი ზღვისაკენ, დნეპრის შლიუზებით დაიძვრებიან გემთა ქარავნები. „დიდი დნეპრის" პრობლემა მომავალში ითვალისწინებს მდინარე ოკასა და ვოლგასთან შეერთებას,—ეს დაუკავშირებს დნეპრს მოსკოვსა და ვოლგის მხარის ქალაქებს.

ეხლა სწარმოებს მუშაობა მესამე უდიდესი ხელოვნური სანაოსნო გზის **ვოლგა-მოსკოვის** გარშემო. ეს გზა გადასჭრის უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობის საკითხს — დედა-ქალაქს დაუკავშირებს ვოლგასა და მის მხარეს. რიგში დგას აგრეთვე მთელი რიგ სხვა სანაოსნო გზათა მოწყობა—აქეთებია: ვოლგა-დონი, კამა-პეჩორის შეერთება და სხვ.

თეთრი ზღვის არხისა და დნეპრის მშენებლობაზე გამოიჭედა უმაღლესი კვალიფიკაციის ჰიდრავლიკოსები. შემთხვევითი როდია ის ამბავი, რომ თეთრი ზღვის არხის მშენებლობის ძირითადი ხელმძღვანელი კადრები გადასროლილია ვოლგა-მოსკოვის არხზე. არც ის არის შემთხვევითი, რომ სახ. კომ. საბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებით დნეპრომშენის ძირითადი კადრები ააშენებენ ვოლგის ჰიდროსადგურებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უდიდესი მუშაობა. რომელიც სწარმოებდა ადამიანთა აღზრდის მხრივ თეთრ ზღვამშენზე. ამ აღმშენებლობაზე მუშაობდენ ადამიანები, რომლებსაც ამა თუ იმ სახის დანაშაული მიუძღოდათ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინაშე. ისინი აშენებდენ არხს. ისინი მუშაობდენ და სწავლობდენ, ისინი შრომაში, შეუპოვარ მუშაობაში იხვეჭდენ უფლებას შრომითი ცხოვრებისაკენ დასაბრუნებლად.

საბჭოთა კავშირის ახალ სანაოსნო გზათა მშენებლობასა და მის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის გეგმამ, რომელიც დამუშავებული იყო ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით. ამ გეგმამ იმთავითვე წამოაყენა საბ. კავშ. სანაოსნო გზათა გამოყენება. ამ გეგმის დამტკიცებიდან 12 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში პარტიამ, მიდიოდა რა ის **ლენინის** მიერ ნაჩვენებ გზით, ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით მიაღწია ამ გეგმის შესრულებას. აშენდა მთელი რიგი უდიდესი ჰიდრო-ელსადგურები, შენდება ელექტროფიკაციის ახალი გიგანტები, მოეწყო ახალი უდიდესი სანაოსნო გზები.

ჩვენ ვიცით. თუ რა უდიდესი მონაწილეობა მიიღეს **საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. და ამხ. სტალინმა** დნეპრომშენისა და თეთრ ზღვამშენის დასრულება-



არხის ხადარაჯოზე

ში, ჩვენ ვიცით აგრეთვე, რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პარტია ახალ სანაოსნო გზათა მოწყობასაი, სწორედ ამიტომ ექვს გარეშეა, რომ მეორე ხუთწლედის გეგმები. არსებულ და ახალ სანაოსნო გზათა შემდგომი გიგანტური მშენებლობათა გეგმები მთლიანად იქნება შესრულებული.

# გათენებიდან დაღამებამდე

## შალვა გუაჩიძე

ეს იყო წინათ...

სერზე, რომელიც ამაყად გადაჰყურებს ვიწრო ხეობას, კოხტათ შეკრეჭილი ლუჯა გამოჩნდა. მხედარს ოქროსფრად უბრწყინავს მხრები.

ეს—ახლად დანიშნული მაზრის უფროსი თავის სამფლობელოს ათვალიერებს. მას უკან მისდევს ამალა: ჩაფრები და ჩოხოსანი წერეთლები, რომლებსაც ჩოხის ქვეშ, მკერდთან თავსაფარში გახვეული რაღაც ნამტვრევები უწყვიათ (ხომ გახსოვთ თავადი კოწია შ. დადიანის „გუშინდელნი"-დან, რომელიც მის მამულში მობოქილ ქვის ნატეხებს „ოხრას" მადნად აცნობდა ქვეყანას).

მხედრებს პერევისისკენ აქვთ გეზი. მაზრის უფროსს გაგონილი აქვს, რომ პერევისაში ამ ბოლო დროს რაღაც მოუსვენრობა დაეტყოთ მუშებს, გახშირდა „ქავშირობის", თამაში. საჭიროა „მოუსვენრობის" დატუქსვა.

მხედრები მაღაროს მიადგნენ.

მუშები გამოეგებნენ მაზრის უფროსთან და მაღაროს კართან აიტუზნენ.

— საჩივარი ხომ არავის აქვს,—„კეთილი" სახე მიიღო მაზრის უფროსმა. მოიჯარადრეები ცუდად ხომ არა გეპყრობიან?!

საჩივარი როგორ არ აქვთ, მაგრამ ვინ გაბედავს დაძრას სიტყვა. შეურაცყოფილი და დამცირებულს კიდევ უფრო მეტი სასჯელი მოელის. მას არ ასცდება ჩაფრის მათრახი. თორემ როგორ შეიძლება გულგრილად უყუროს კაცმა მოიჯარადრეების თავხედობას, აიტანოს მათგან განუწყვეტელი დამცირება, დაცინვა.

სხვა არა იყოს რა, რატომ უნდა დაიკარგოს მაღაროში კაცი. გუშინ თათარი დაიკარგა, ამას წინად კიდევ ბერძენი გაჰქრა სადღაც. მაღაროში რომ შევიდა სამუშაოდ ყველამ ნახა, მაგრამ იქიდან გამოსული აღარავის უნახავს. ან რატომ მიგვატოვებინა მოიჯარადრემ სისწრაფით ის მაღარო და ახალ მაღაროს გათხრაზე დაგვაყენა. უბედური, უთუოდ დაიღუპა მაღაროში და ადამიანური გასვენებაც კი არ ეღირსა.

მაღაროელებს სდუმან, მაღაროს კი ენა არ აქვს რომ ამეტყველდეს.

მაზრის უფროსი უკან ბრუნდება, ხოლო შავად გამურული ადამიანები ისევ მაღაროს შავ სიბნელეს მიაშურებენ. და იწყება მძიმე შრომა, ჯოჯოხეთური შრომა, რომელსაც არავითარი სინათლე არ ახლავს. პერევისელო გლეხო, მაგრამ დაარტყი წერაქვი, იდინე ოფლი, დაუგროვე დოვლათი ჭიათურელ და საჩხერელ მებატონეებს, მთელი ქვეყნის მფლობელებს...

***

ყოველ გარიჟრაჟზე ჭიათურის ხეობას ორთქლმავლის კივილი აღვიძებდა. საათი მაშინ არავის ჰქონდა და გათენების მოახლოვებას ორთქლმავლის საყვირის ხმით გებულობდნენ. ეს ნიშანი იყო მაღაროში წასვლის, და მუშაც მიდიოდა, ფეხშიშველი, უიმედო, საკუთარი თავის და ოჯახის მწარე ხვედრით დასევდიანებული.

მაღაროში არავითარი განათება არ იყო, ხანდახან ჭრაქებს თუ აანთებდნენ. მუშაობა გრძელდებოდა გათენებიდან დაღამებამდე. თუ ამ ხნის განმავლობაში მუშა ვერ შეასრულებდა დავალებას, მას მაღაროდან არ გამოუშვებდნენ, სანამ მთლიანად არ შეუთვლიდა მოიჯარადრეს თავის ნორმას.

ხშირად მუშები მაღაროშივე რჩებოდნენ დასაძინებლად, რადგან ბინები არ იყო. ეძინათ გაუხდელი. დილა ადრიან ისევ წერაქვს უბრუნდებოდნენ და ისევ გრძელდებოდა დაღამებამდე, დაღამებიდან გათენებამდე. ამაზე ჯოჯოხეთური მუშაობა წარმოუდგენელია. შრომა კატორღა იყო.

ეს კარგათ ახსოვს **ანტონ თოდაძეს**, პერევისის მაღაროს უძველეს მუშას, კომუნისტური პარტიის წევრს და პარტორგანიზატორს, რომელმაც 31 წელიწადი მაღაროში გაატარა.

მას ჭაღარა შეპარვია, მაგრამ მძიმე შრომამ ვერ გატეხა ეს მაგარკუნთებიანი კაცი. ის ეხლა 51 წლისაა და დღესაც მაღაროში მუშაობს, დღეში სჭრის 220—230 ფუთ მარგანეცს, გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს.

ძველი დროის მოგონება უჭირს, რადგან ის მას მძიმე ლოდად აწევს. არ გვქონდა ბინა, არ გვქონდა საჭმელი, ცოტა ნატეხ ცივ მჭადზე რამდენიმე დღე გადიოდით, არ გვქონდა პირსაბანი, კვირაობით ხელპირს ვერ ვიბანდითო.

მაგრამ ეს იყო წარსულში, შავბნელ წარსულში, როდესაც ქვეყნის პატრონები



სპარსული კედლის მხატვრობის ნიმუში, გადმოღებული მხატვ. თურქელოვას მიერ.

წერეთლები, აბაშიძეები, სიმონოვები, პერსიანცევები და ძმანი მათნი იყვნენ.

დღეს ქვეყანას ანტონ თოდაძეები და მისი კლასი განაგებს. მაღაროები შეიმოსა მთელი რიგი შენობებით: საერთო საცხოვრებელი, სასადილო, კლუბი, საავადმყოფო, აბანო, პირსაბანი—ყველა ისინი მუშის ჯანმრთელობის შენახვას ემსახურებიან.

მუშა, რომელიც ძველად კვირაობით პირს ვერ იბანდა, დღეს მაღაროდან გამოსვლისთანავე პირსაბანს მიაშურებს, დაიბანს ხელპირს, გამოიცვლის ტანისამოს და გასუფთავებული შედის სასადილოში.

ამ დროს ვერც კი იტყვით, რომ ეს კაცი რამდენიმე წუთის წინად ორ კილომეტრზე იყო შეჭრილი მიწაში და წერაქვით მიწის გულს აბრუნებდა.

პერევისას ბევრი შესანიშნავი სახელი ჰყავს, მათ შორის პირველობა უთუოდ **შალვა ციცვიძეს** ეკუთვნის. ეს კაცი ათი წელია რაც მაღაროში მუშაობს და დღეში 2.000 ფუთამდე მარგანეცს სჭრის. შრომა მისთვის გადაიქცა პირველ მოთხოვნილებად, „სახელის, სიმამაცის და გმირობის" საქმედ.

ციცვიძის ხსენებაშია დღეს ყველა პერევისაში. ყველა ცდილობს მას გაუსწორდეს, მისებრ წარმატებებს მიაღწიოს მარგანეცის მოპოვებაში.

ციცვიძით ამაყობენ ძველი მაღაროელნიც, რომელთა რიცხვი პერევისაში საკმაოა. უკანასკნელად მათ გამოაკლდათ **გიორგი ჩაჩანიძე**, რომელმაც თავისი სიცოცხლის ნახევარი მაღაროს შეალია. 30 წ. მძიმე შრომამ გ. ჩაჩანიძე შედარებით ადრე მოახუცა. მას უკვე აღარ შეეძლო მაღაროში მუშაობა, მაგრამ გული არ უთმენდა, უნდა რითიმე კიდევ ემსახურნა მის საყვარელ საქმეს. გ. ჩაჩანიძე ეხლა ტრანსპორტზე მუშაობს. მან მიატოვა მაღარო, მაგრამ თავის მაგივრად შვილი გამოგზავნა.

ერთ დროს მამა და შვილი ერთად მუშაობდნენ მაღაროში ახალგაზრდა ჩაჩანიძე მუშაობდა და სწავლობდა კიდეც. მან დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. ადგილობრივმა პროფესიონალურმა ორგანიზაციამ ის უმაღლეს სასწავლებელში მიავლინა და ამჟამად ეს მემკვიდრეობით მაღაროელი, თვითონ გაწვრთნილი და მცოდნე სამთო-საინჟინრო ფაკულტეტს ამთავრებს. რამდენიმე თვის შემდეგ ის დაუბრუნდება პერევისის მაღაროს, რომ გააგრძელოს მამა შვილის ტრადიცია, დაეხმაროს თავის კლასის შვილებს საწარმოო გეგმების შესრულებაში.

მუშათა კლასი ქმნის თავის საწარმოო-ტექნიკურ ინტელიგენციას. **ვ. ჩაჩანიძე** ერთ-ერთია მათ შორის.

***

გათენებიდან დაღამებამდე მუშობდნენ წინად პერევისელი მაღაროელები. მათი სამუშაო დღე გრძელდებოდა 14—16 საათი.

გათენებიდან გათენებამდე მუშაობს დღეს პერევისის მაღარო, რომ მარგანეცით უზრუნველყოს სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტები.

მაღაროს მუშაობა გახანგრძლივდა. მაგრამ მაღაროელის შრომა შემცირდა. 16 საათის ნაცვლად ჩვენი მაღაროელი 7 საათს მუშაობს. ამასთანავე ის უკეთესად შეიარაღებულია. გამუდმებით რაკრაკებს პნევმატიური წერაქვი, ბრუნავს დინამოტი, დაუსრულებელ ლენტებად არის გაბმული მაღაროდან მადნის მზიდავი ვაგონები.

ადამიანის ხელს მექანიზმები დაემატა. საჭიროა მათი ათვისება, უკეთ გამოყენება. მაშინ პერევისა არ შედრკება არავითარი დავალების წინაშე. ბოლშევიკური მონდომება გადამრავლებული მანქანების ზუსტ, შეუფერხებელ მუშაობაზე მოგვცემს გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

პერევისის გეზი აქეთკენ უნდა წარიმართოს.

# ქრონიკა



## ტომ მუნი კვლავ საპყრობილეშია



15 წელზე მეტია ტომ მუნი დაპატიმრებულია ვითომდა იმიტომ, რომ მან ბომბა ესროლა პატრიოტულ დემონსტრაციას. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი უდაო დოკუმენტებით დამტკიცდა ტომ მუნის უდანაშაულობა, ამერიკის კაპიტალისტური სასამართლო მას მაინც არ ანთავისუფლებს ციხიდან.

სურათზე — მარჯვნივ ტომ მუნის დამცველი უოლში, ტომ მუნი და დამცველი გალახერი. ტ. მუნის ხელებში ბორკილი აქვს გაყრილი.

## კაპიტალისტური ქვეყნები ემზადებიან ომისათვის.



ძაღლი გაზის საწინააღმდეგო ნიღაბში.

## იმპერიალისტები ემზადებიან ომისათვის



ინგლისის მზვერავ აეროპლანების მესამე ეს კადრილია საცდელი გაფრენის დროს.

## მორიგი გადაფრენა დედამიწის გარშემო.




აეროპლანი, რომელთაც მფრინავი პოსტი გადაფრინდა დედამიწის გარშემო.

ფასი 40 კაპ.

1933

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

შეკვ. № 2104. მთავლიტი № 1077.